# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

 დაარსებულია 1918 წელს. 

შაბათი, 5 ივნისი, 2010 წელი.

№104 (6470)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.


„...სინამდვილეში კი ფიზიკური დაპირისპირება გამოიწვია მორალურ-ფსიქოლოგიურმა ძალადობამ, რაც წიგნის დაბეჭდვასა და მისდამი პირდაპირ და არაპირდაპირ მხარდაჭერაში გამოიხატა...

ეს „წიგნი“ და მისი პრეზენტაციაც იყო სატყუარა, ხაფანგი, რაც შემდგომმა მოვლენებმა კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩინა. ამიტომაც საპატრიარქო არ ჩაერთო დებატებში და მოსახლეობასაც მოუწოდებს თავშეკავებისაკენ...“ 3

**ფიქრები საქართველოს საპატრიარქოს 2010 წლის 15 მაისის განცხადებასთან დაკავშირებით**

## შეურაცხყოფის გაპროტესტება 2 შეურაცხყოფაზე მეტია?!



## პარტნიორის გადაგდება ალიანსელებისთვის მისაღებია, ჩვენთვის კი – მიუღებელი და არავაჟკაცური 5

## ქართველთა კავშირი კატეგორიულად მოითხოვს!.. 4



**უცვლელად გთავაზობთ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ გრიგოლ ვაშაძისადმი ბელგიის ქართველთა კავშირის მიმართვას**



## მთავარია გქონდეს ფული, რომ არ იყო 9 დაჩაგრული

**თუ ჩვენი არ გჯერათ, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციას დაუგდეთ ყური:**

„ჯანმრთელია ადამიანი, თუ ის ფიზიკურად და სულიერად ჯანსაღია და ეკონომიკურად უზრუნველყოფილი!“ აქედან, მარტივი დასკვნა: უფულო ადამიანი ავადმყოფია, ხოლო თუ ადამიანთა უმრავლესობა სიღარიბეში ცხოვრობს, მთელი ერი ითვლება ავადმყოფად.



„სხვა გზა არ არის აფხაზეთისთვის, გარდა საქართველოსი“...

## „საქართველოს ხმა“ 7 აფხაზეთის გასაგონად

1866 წლის 17 ივლისს, როცა აფხაზეთში აჯანყებამ იფეთქა, წინამძღოლად ჯერ კიდევ ყმაწვილი გიორგი შერვაშიძე აირჩიეს...

## ღლამიწაზე 11 სად უკეთესია ცხოვრება?

## განცეულები და 2 გამარჯვებულები



## კოკაინი რომ არ შემოეტანათ, ბავშვებისთვის დაპირებულ 5 კომპიუტერებს რითი ყიდულობდნენ?

## SOS! საქართველო და მოლდოვა 8 ბარგავენ დამცველებს – ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენლებს

## ბრიფინგი

**დამარცხებული პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა უკვე დაიწყეს არჩევნების შეფასება, ზოგმა — თავის მართლება, ზოგმაც — გადაჯგუფ-გადმოჯგუფება. თუმცა, „ალიანსის“ წევრი კოკა გუნცაძე რომელიმე ოპოზიციურ პარტიაში ამ ეტაპზე გაწევრებას არ აპირებს, ხოლო ქვეყანაში ვითარების სისტემური შეცვლისთვის მზად ყოფილა.**



# გაქცეულები და გამარჯვებულები

„ყველა იმ პოლიტიკურ ძალასთან, ვინც მზად არის, სისტემურად შეცვალოს ვითარება საქართველოში, ჩვენ გავივლით კონსულტაციებს. არც ერთ პარტიაში შესვლას არ ვაპირებ, ჩემთვის მნიშვნელოვანი არ არის პარტიული კუთვნილება, მნიშვნელოვანია იდეა — ქვეყანაში სასწრაფოდ ჩამოყალიბდეს ისეთი პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც პასუხისმგებლობას აიღებს და შეცვლის ხელისუფლებას“, — განაცხადა გუნცაძემ „დაიცავი საქართველოს“ ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე.

მან იქვე დასძინა, რომ დღეს წყალგამყოფი ივლება დაშვებულ ოპოზიციასა და იმ ოპოზიციას შორის, რომელიც ცდილობს ამ მანკიერი სისტემის დამსხვრევას. „იმედი მაქვს, საჭირო დროს და საჭირო ადგილას ჩვენ ერთად დავდგებით, რომ საქართველოს ავაშოროთ ტოტალიტარიზმის საფრთხე“, — აღნიშნა გუნცაძემ.

მან „ალიანსი“ გარანტირებული დამარცხების დაგეგმვაში დაადანაშაულა. ქვეყანას მართავს რეპრესირებული რეჟიმი, რომლის დამსხვრევა შესაძლოა მხოლოდ ოპოზიციური ერთობით.

ბატონი გუნცაძე არჩევნების შემდეგ მიმხვდარა, რომ ოპოზიციური ერთობა აუცილებელი ყოფილა. ამ ერთობისკენ სალად მოაზროვნე საზოგადოება ოპოზიციას გამუდმებით მოუწოდებდა, მაგრამ ყურად არ ილეს და ხელისუფლების თამაშის შეგნებული მონაწილენი აღმოჩნდნენ. ახლა კი თავს იმართლებენ, ეს რა მოგვსვლია, ერთად რატომ არ დავდექითო. საკუთარი „ალიანსის“ კრიტიკა არჩევნების შემდეგ უფრო ადვილია — „ალიანსმა“ ვერ უზრუნველყო ერთიანობა, საერთო ეროვნული თანხმობა და თავად არ აღმოაჩნდა საკმარისი ძალა, რათა ხელისუფლების ალტერნატივად ჩამოყალიბებულიყო, — დაასკვნა გუნცაძემ.

ნამდვილი პოლიტიკოსი ისაა, ვისაც რაიმე მოვლენის შესახებ წინასწარ ძალუძს პროგნოზირება, და არა ის, ვისაც შედეგის შემდეგ შეუძლია სიბრძნის გადმოფრქვევა. ეს უფრო თავის მართლებას, საკუთარი თავის გამოლამაზებას ჰგავს და ღირსების თვალსაზრისითაც არცთუ მართებული ნაბიჯია. ნამდვილმა პოლიტიკოსმა მარცხიც ღირსეულად უნდა აიტანოს ისე, რომ სხვა არ შეურაცხყოს.

ის, რომ ქვეყანაში სისტემური ცვლილებები აუცილებელია, არც ესაა მოულოდნელი სიახლე, და არც ის, რომ საჭიროა ქვეყანაში ისეთი პოლიტიკური მოძრაობის ჩამოყალიბება, რომელიც შეცვლის ხელისუფლებას.

ამით ბატონი გუნცაძე ვერც ყურადღებას მიიპყრობს და ვერც სხვაზე უკეთესი გახდება. იგივე შეიძლება ითქვას „ალიანსიდან“ გაქცეულ სოზარ სუბარზეც.

მათი ნაბიჯები ამაო ფაფხურს ჰგავს, რომელიც ღიმილისმომგვრელია. თუ დღემდე ვერ გაუცნობიერებიათ, ვინაა ნამდვილი და ვინ ფსევდოოპოზიცია და სადაა წყალგამყოფი ხაზი, მაშინ რაღაზეა საერთოდ, ლაპარაკი?

**ასე რომ, დიდი პოლიტიკის მესამე რაუნდი — ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებიც ისევ და ისევ ნაციონალების გამარჯვებით დასრულდა, რასაც ისინი ცოცხალი თავით არ დათმობენ, ხოლო გუნცაძე-სუბარებისთვის რა არის მნიშვნელოვანი — პარტიული კუთვნილება თუ იდეა, ხალხისთვის არსებითად არაფერს შეცვლის.**

**ნატა ნიბლაძე**

## მიმართვა



# შეურაცხყოფის გაპროტესტება შეურაცხყოფაზე მეტია?!

### დაპატიმრებული თანატოლების გათავისუფლებას ითხოვენ

**ილიას უნივერსიტეტში ერეკლე დეისაძის წიგნის პრეზენტაციის შემდეგ ატეხილი სკანდალი, რომელსაც გაგრძელება ტელეკომპანია „კავკასიის“ ეთერში მოჰყვა, ნელ-ნელა თითქოს ჩაცხრა, მაგრამ არიან პოლიტიკური პარტიები, რომლებიც საქმის გამოძიებას და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას ითხოვენ, განსაკუთრებით მათ მიმართ, ვინც „კავკასიაში“ მომხდარი ინციდენტის შემდეგ პოლიციის თანამშრომლებმა დააპატიმრეს. შეგახსენებთ, რომ ეს შემთხვევა დაახლოებით ერთი თვის წინათ მოხდა და მიუხედავად ამა თუ იმ პოლიტიკური თუ არაპოლიტიკური დაჯგუფებების მოთხოვნებისა მისი ზოგიერთი მონაწილე ისევ დაპატიმრებულია.**

ჯონდი ბაღათურიას პარტია „ქართული დასის“ ახალგაზრდული ორგანიზაცია და მართლმადიდებელი სტუდენტებიც ამ ახალგაზრდების გათავისუფლების მოთხოვნით გამოდიან.

გუშინ „ქართული დასის“ ოფისში პრესკონფერენცია პარტიის ახალგაზრდულმა ორგანიზაციამ გამართა. ერთ-ერთმა წარმომადგენელმა თათია გეთიამ განაცხადა, სამარცხვინოა, რომ 21-ე საუკუნეში ადამიანებს რწმენისთვის დევნიან და ავიწროებენ. მისივე თქმით, სწორედ რწმენისთვის, ცრუ ბრალდებებით დააპატიმრეს 8 უდანაშაულო ადამიანი.

„ქართული დასის“ ახალგაზრდულ ფრთას მიაჩნია, რომ „კავკასიაში“ მომხდარი ფაქტი წინასწარ დაგეგმილი პროვოკაცია იყო. ახალგაზრდებმა, ჟურნალისტებს ის განცხადებაც გააცნეს, რომელშიც დაპატიმრებული თანატოლების გათავისუფლებას ითხოვენ.

**განცხადებაში ვკითხულობთ: „განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ დაპატიმრებულთაგან ხუთი ეკლესიის მსახურია: ერთი მგალობელი, ორი მედავითნე და ორი სტიქაროსანი. მათი უდანაშაულობა ვიდეოკამერებიდანაც ჩანს. მათგან რამდენიმე პირდაპირი ეთერის სტუმარი იყო და მთელი მოსახლეობა მათ უდანაშაულობას პირდაპირ ეთერში ხედავდა.**

**ობიექტურად ჩნდება შეკითხვა — თუკი ადამიანთა ერთ ჯგუფს უფლება ჰქონდა ბილწი, უხამსი სიტყვებით შეურაცხყოფა მიეყენებინა ღმერთის, ღვთისმშობლისა და სარწმუნოებისთვის, და ეს სიტყვის თავისუფლებას და აზრის გამოხატვის უფლებად მიაჩნია ვინმეს, მაშინ რატომ არ ჰქონდა მართლმადიდებელ მრევლს ამ შეურაცხყოფის გაპროტესტებისა და საკუთარი აზრის გამოხატვის უფლება ან ილიას უნივერსიტეტთან ან ტელეკომპანია „კავკასიასთან“?**

ხელისუფლებას განცხადებით მიმართა ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტმა გიორგი უსანეთაშვილმაც. ის „ქართული დასის“ ახალგაზრდული ორგანიზაციის პოზიციას სრულად იზიარებს და დაპატიმრებულთა გათავისუფლებას ითხოვს.

თავისთავად ცხადია, რომ ხელისუფლება მხოლოდ ახალგაზრდობის გარკვეული მოთხოვნის საფუძველზე გადაწყვეტილებას არ შეიცვლის, თუმცა თუ შემთხვევის გამოძიება ასე თუ ისე სამართლიანად წარიმართება, მაშინ დაპატიმრებულთა უმრავლესობას ალბათ გაათავისუფლებენ. საინტერესოა, საზოგადოებრივი მოძრაობა „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“ შეიყვანს თუ არა უკანონო პატიმართა გრძელ სიაში „კავკასიის“ ინციდენტში მონაწილეებს. ერთობლივი ბრძოლა ხომ ყოველთვის უფრო მომგებიანია.

**ანა წიწილაშვილი**

## საპროტესტო აქცია-ბრიფინგი

# „ჩვენ მათი ცოდვები გვძულს და არა თვითონ ისინი“

**„თავისუფლების ინსტიტუტის“ შტაბ-ბინის წინ არასამთავრობო ორგანიზაციებმა და პოლიტიკური პარტიების ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლებმა (ერთიანი ახალგაზრდული მოძრაობა „წინ“, ახალგაზრდული მოძრაობა „არა“, „სახალხო მართლმადიდებლური „მოძრაობა“, „ერეკლე II-ს საზოგადოება“, „ლეიბორისტები“, „თავისუფლება“, „კონსერვატორები“, „გამარჯვებისთვის“) 7 მაისს ტელეკომპანია „კავკასიაში“ მომხდარი ინციდენტის შემდეგ დაკავებული 8 ახალგაზრდის განთავისუფლება და „თავისუფლების ინსტიტუტის“ დახურვა მოითხოვეს.**

საპროტესტო აქციის მონაწილეებმა შოთა აფხაიძის, რატი მაისურაძის, გიორგი გაბედავას, ლევან ჩაჩუას, ავთანდილ ზუმბაძის, ზვიად ბლიაძისა და დავით შალამბერიძის დაკავება მართლმადიდებლობის წინააღმდეგ მიზანმიმართულ ბრძოლად შეაფასეს, რადგან, მათი აზრით, ეს ახალგაზრდები სრულიად უკანონოდ იმყოფებიან წინასწარ პატიმრობაში, მხოლოდ იმისთვის, რომ მართლმადიდებლობას და ქართულ ტრადიციებს იცავდნენ.

**„ჩვენი თანამებრძოლები, „თავისუფლების ინსტიტუტის“, მანქურთების მსხვერპლნი არიან. ჩვენ არ გვძულს არც თავისუფლების ინსტიტუტის წევრები და არც ერეკლე დეისაძე. ისინი მტრებად კი არ მიგვაჩნია, არამედ შემცდარ ძმებად. ისინი ჩვენი თანამემამულეები არიან და გული შეგვტკივა მათზე. ჩვენ გვძულს მათი ცოდვა, უღმერთობა, მართლმადიდებლობის მტრობა და სამშობლოს წინააღმდეგ ბრძოლა. ამიტომ მოვუწოდებთ — მოინანიონ თავიანთი მკრეხელური ცოდვები“.**

აქციის მონაწილეები ხელისუფლებას დაკავებულების განთავისუფლებისკენ მოუწოდებენ.

ისინი აპირებენ საპროტესტო აქციების გაგრძელებას, ხელმოწერების შეგროვებას ამ მოთხოვნით.

**თამთა ჭითანავა**

## პრესკონფერენცია

# ოპოზიციური ძალები უნდა გაერთიანდნენ

**ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ოპოზიციური პოლიტიკური პარტიებისთვის კრახით დამთავრდა. არჩევნების ასეთი შედეგებით დასრულება ხალხში ოპოზიციური პარტიების მიმართ უნდობლობამ გამოიწვია — მათმა ლიდერებმა ერთმანეთში კონკურენტი დაინახეს, საერთო შეთანხმებას ვერ მიაღწიეს და დანაწევრდნენ.**



დღითი დღე მატულობს ოპოზიციური ძალების გაერთიანებისთვის აუცილებელი განცხადებები, რათა სამართლიანი საარჩევნო გარემო შეიქმნას.

ამასთან დაკავშირებით „ქართული აკადემია“ სააკაშვილის რეჟიმის შეცვლის ერთადერთ, ქვეყნისა და ხალხისთვის უსაფრთხო გზად მიიჩნევს მშვიდობიან, კონსტიტუციურ ჩარჩოებში მოქცეულ ბრძოლას, რომელიც სამართლიან, დემოკრატიულ არჩევნებში ოპოზიციური ძალების გამარჯვებით უნდა დასრულდეს.

„ქართული აკადემია“ დარწმუნებულია, რომ ოპოზიციის მეტი ერთსულოვნების, კონსოლიდაციისა და ერთიანი კანდიდატის გამოკვეთის შემთხვევაში ამ უსამართლო არჩევნების შედეგი სხვაგვარი იქნებოდა. თუმცა იმასაც აღიარებენ, რომ ოპოზიციურმა პარტიებმა, მათმა მხარდამჭერებმა ვერ უზრუნველყვეს საზოგადოების სათანადო მოტივირება და საარჩევნო კამპანიის დროს საზოგადოებაში გამეფებული შიში და ნიჰილიზმი ვერ დაძლიეს.

**ნუკრი ქანთარია:** — პირველ რიგში, ოპოზიციური ძალები უნდა გაერთიანდნენ. ეს იქნება ბრძოლა სამართლიანი საარჩევნო კანონმდებლობის, საარჩევნო პროცედურების სწორი რეგლამენტაციის, ძალოვანი სტრუქტურების დეპოლიტიზაციის, ადმინისტრაციული და ფინანსური რესურსების უკანონო გამოყენებისა და სხვა მანკიერებათა აღმოფხვრისთვის.

ამით ჩვენ დავიბრუნებთ ხელისუფლების მშვიდობიანად შეცვლის საარჩევნო ინსტრუმენტს, რომელიც მთლიანად უზურპირებული აქვს სააკაშვილს, და ქვეყანას ნორმალური განვითარების პერსპექტივასაც გავუჩენთ. მხედველობაში მაქვს პოლიტიკური სუბიექტების მიერ ორიოდე თვის წინათ ხელმოწერილი დოკუმენტი საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების კონკრეტულ ღონისძიებათა შესახებ“.

**ეკა მაშიანოვა**

## გამოხმაურება

*„საზოგადოებამ კარგად იცის, რომ უკვე რამდენიმე წელია აქტიურად მიმდინარეობს ბრძოლა ეროვნული ფასეულობების და ასევე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ.*

*გახმაურებული წიგნის არცთუ ისე დიდის ხნის წინათ შემდგარი პრეზენტაციაც ამ მიზნით შემუშავებული გეგმის პირველი ნაწილი იყო, პროვოკაციის მეორე ნაწილი კი „ტელეკომპანია „კავკასიის“ ეთერში განხორციელდა.*

*დღეს არის მცდელობა, რომ ხალხის მთელი ყურადღება გადატანილ იქნას „კავკასიის“ ეთერში მომხდარი დაპირისპირების ფაქტზე, ხოლო მის გამომწვევ მიზეზებზე ცოტა ვინმე თუ საუბრობს.*

*სინამდვილეში კი ფიზიკური დაპირისპირება გამოიწვია მორალურ-ფსიქოლოგიურმა ძალადობამ, რაც წიგნის დაბეჭდვასა და მისდამი პირდაპირ და არაპირდაპირ მხარდაჭერაში გამოიხატა...*

*ეს „წიგნი“ და მისი პრეზენტაციაც იყო სატყუარა, ხაფანგი, რაც შემდგომმა მოვლენებმა კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩინა. ამიტომაც საპატრიარქო არ ჩაერთო დებატებში და მოსახლეობასაც მოუწოდებს თავშეკავებისაკენ...*

*ამიტომაც მივმართავთ ხელისუფალთ, რეალური შეფასება მისცენ მომხდარს და სასწრაფოდ მიღონ კანონი, რომელიც სათანადოდ დაიცავს მოსახლეობას უხამსობისაგან, დაიცავს პიროვნებისა და საზოგადოების პატივს, ღირსებას და მათ რელიგიურ გრძნობებს.“ (ამონარიდი საქართველოს საპატრიარქოს 2010 წლის 15 მაისის განცხადებიდან).*

# თუ საქმე ჯანმრთელობასა და მორალს შეხება...

### ფიქრები საქართველოს საპატრიარქოს 2010 წლის 15 მაისის განცხადებასთან დაკავშირებით

მთლიანად ვუჭერ რა მხარს საქართველოს საპატრიარქოს 2010 წლის 15 მაისის განცხადებას, ვაცხადებ: საქართველოს კონსტიტუციის მეექვსე და მეშვიდე მუხლების საფუძველზე საქართველოს პარლამენტი ვალდებულია, სასწრაფოდ მიიღოს საკონონდებლო აქტი, რომლითაც საქართველოს კანონმდებლობა მოყვანილი იქნება შესაბამისობაში ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მეათე მუხლთან და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან, რადგან საქართველო მიერთებულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციას და აღიარებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კომპეტენციას.

**ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის** თანახმად:

*1. ყველას აქვს აზრის თავისუფალი გამოხატვის უფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას ჰქონდეს მოსაზრებანი და მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები ჩარევის გარეშე და საზღვრების მიუხედავად. ეს მუხლი არ უკრძალავს სახელმწიფოებს, მოითხოვონ რადიომაუწყებლობის, ტელევიზიისა და კინოწარმოების ლიცენზირება.*

*2. ამ თავისუფლებათა განხორციელება, იმის გამო, რომ იგი გულისხმობს ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას, შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ ფორმალობებს, პირობებს, შეზღუდვებს ან საჯარიმო სანქციებს, რომლებიც გათვალისწინებული არიან კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უსაფრთხოების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი წესრიგის ინტერესებიდან გამომდინარე, უწესრიგობისა და დანაშაულის აღკვეთისათვის, ჯანმრთელობისა და მორალის, სხვათა რეპუტაციის დაცვისათვის, კონფიდენციალურად მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილების ან სასამართლოს ხელისუფლების მიუკერძოებლობის შენარჩუნებისათვის.*

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ასევე ადგენს აზრის გამოხატვის სამართლებრივ საზღვრებს. ამ მხრივ, პრეცედენტის ძალა აქვს გადაწყვეტილებას საქმეზე „ჰენდისაიდი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ“.

ჰენდისაიდმა გამოსცა ცნობარი მოსწავლეთათვის, რომელიც სექსუალური ხასიათის რჩევებს შეიცავდა. გაერთიანებული სამეფოს სასამართლომ პასუხისგებაში მისცა მოსარჩელე და მსჯავრი დასდო უხამსობისთვის. მოსარჩელემ გაასაჩივრა გადაწყვეტილება და განაცხადა, რომ მის მიმართ დაირღვა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მუხლი 10.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მუხლი 10-ის პუნქტი 2 ვრცელდება იმ შემთხვევებზეც, როდესაც აზრის თავისუფალი გამოხატვა არის ქვეყნის მოსახლეობისთვის ან მისი ნაწილისთვის შეურაცხმყოფელი, შოკის მომგვრელი ანდა სიმშვიდის დამრღვევი (ანალოგიური ხასიათის გადაწყვეტილებები იქნა მიღებული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქმეებზე — „მიულერი შვეიცარიის წინააღმდეგ“ და „ოტო პრემინგერ ინსტიტუტის ასოციაცია ავსტრიის წინააღმდეგ“ძ.

ამ და სხვა საქმეებზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა იმასაც, რომ სასამართლო მომავალში უზრუნველყოფს პოლიტიკური აზრის გამოხატვის მაღალი ხარისხით დაცვას, და პირიქით, ნაკლები ხარისხით უზრუნველყოფს აზრის გამოხატვას იმ სფეროში, რომელიც სცილდება სახელმწიფო პოლიტიკის კრიტიკის სფეროს, განსაკუთრებით თუ იგი შეეხება ჯანმრთელობას და მორალს.

გახმაურებული წიგნის ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტში შემდგარი პრეზენტაცია და ტელეკომპანია „კავკასიის“ ეთერში აგენტ ჯანგირაშვილის მიერ შესრულებული დაკვეთა სამართლებრივად შეიძლება შეფასდეს, როგორც საქართველოს კონსტიტუციის მუხლი 9-ის მეორე პუნქტის და საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის 2002 წლის 5-18 ნოემბერს დადებული კონსტიტუციური შეთანხმების პირველი მუხლის პუნქტი სამის იმ ნორმის ხელყოფა, რომლის ძალით: **„საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია წარმოადგენს ისტორიულად ჩამოყალიბებულ საჯარო სამართლის სუბიექტს, — სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სრულუფლებიან საჯარო სამართლის იურიდიულ პირს“.**

**ბიძინა სავანელი.**
**პროფესორი**

## რას გვასწავლის უბედურება?

# „ქართულ საზოგადოებაში შემწყნარებლობის შეუქცევადი პროცესი დაიწყო“



***გვესაუბრება ადვოკატი, ანტიკრიზისული საბჭოს ექსპერტი სამართლებრივ საკითხებში ლევან ალექსიშვილი***

**— ბატონო ლევან, როგორ სამართლებრივ შეფასებას მისცემდით 30 მაისს ჩატარებულ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს?**

— არჩევნები მშვიდ გარემოში წარიმართა და იმედი მაქვს, პროცესი ბოლომდე სამართლიან გარემოში ჩაივლის. რაც შეეხება საკითხის, ასე ვთქვათ, მორალურ მხარეს, ნათქვამია, „როგორიც არის ადამიანი და საზოგადოება, ისეთია მისი რწმენა“, ჩვენი საზოგადოება კი ჰაერს ჰგავს, რომელიც აუცილებელია სუნთქვისთვის, მაგრამ არასაკმარისი — ცხოვრებისათვის. ჩვენ ვერ გავიგეთ, რომ სადაც რწმენა არ არის, იქ ყველაფერი ირყევა. ნაპოლეონი ამბობდა, „რელიგია რომ არ იყოს, ადამიანები ერთმანეთს დახოცავენ გემრიელი მსხლისთვის და ლამაზი ქალისთვისო“. რელიგია რწმენაა იმისა, რომ არსებობს ზნეობრივი ფასეულობები, ზნეობრივი პრინციპები კი ხშირად დაწერილ კანონზე მაღლა დგას. ბუნებრივია, სადაც იწყება ანგარება, ამპარტავნობა და შეუწყნარებლობა, იქ თავდება რწმენა. სამწუხაროდ, ჩვენ ხშირ შემთხვევაში ორი რწმენა გვაქვს: ერთი, როდესაც კარგად ვგრძნობთ თავს და მეორე, როდესაც საქმეები ცუდად მიგვდის. **ჩვენი მასწავლებელი არა სიტყვა, აზროვნება და რწმენა, არამედ უბედურება არის და ვერ გაგვიგია, რომ საპირისპირო აზრის და უცოდინარობის დამარცხება მხოლოდ ჭკუით შეიძლება და სიტყვიერი თუ ფიზიკური შეურაცხყოფა განსხვავებულ აზრს ვერაფერს უზამს.** აზროვნება ნიშნავს გონების დაძაბვას და შედარების და განსხვავების პოვნის უნარს, შესაძლებლობათა აწონდაწონვას და ცოდნის გამარჯვებას უცოდინარობაზე. ჩვენ სწორად უნდა ვიაზროვნოთ, — ეს იქნება ჩვენი ზნეობის საფუძველი, ხოლო მორალზე უარის თქმა საბოლოოდ მიგვიყვანს სულიერ გაკოტრებამდე.

**— რა მიგაჩნიათ საზოგადოების შეუწყნარებლობის და ერთმანეთის მიმართ შეურიგებელი პოზიციის ძირითად მიზეზად?**

— დამოუკიდებლობის მოპოვებამდე ჩვენ ვფიქრობდით, რომ ბუნებრივი, სტრატეგიული თუ ინტელექტუალური რესურსების გათვალისწინებით, წარმატებული ქვეყანა გველოდა წინ, თუმცა ოცნება ოცნებად დარჩა და ამასობაში დაგვავიწყდა ჩვენი იდეალები და პრინციპები, ქართველი ადამიანის ბუნებრივი გენი, დიპლომატია, მიმტევებლობა, შემწყნარებლობა, ერთმანეთის მოსმენა და მოთმენის ნიჭი, რომლითაც ყოველთვის გამოირჩეოდა ჩვენი ქვეყანა. უპირატესობა მივანიჭეთ საკუთარ ამბიციებს, პიროვნულ კეთილდღეობას, საკითხების ემოციურ ტალღაზე და არა ანალიზის შედეგად გადაწყვეტას.... განსხვავებული აზრის იგნორირება ნორმად ვაქციეთ და შედეგიც დიდი ხანია, სახეზეა: დაკარგული ტერიტორიები, გათიშული და დაპირისპირებული საზოგადოება, სამართლიანობის განცდის არარსებობა... ეს გახლავთ დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან ჩვენი აზროვნების შედეგი და რეალობა, რომლის შეცვლა აუცილებლად უნდა შევძლოთ.

**— სისასტიკე და მიუტევებლობა ალბათ, დანაშაულებრივი მოქმედებების სტატისტიკაშიც აისახება...**

— გეთანხმებით, ბოლო 20 წლის განმავლობაში საზოგადოებაში ფეხი მოიკიდა სისასტიკემ, გულგრილობამ, მიუტევებლობამ. თუ გადავხედავთ საქართველოს ბოლო წლების სტატისტიკას, 1998-2004 წლებში საქართველოში წელიწადში დაახლოებით 350 მკვლელობა და მკლელობის 500-მდე მცდელობა ხდებოდა. რაც შეეხება ბოლო ხუთი წლის სტატისტიკას, მიუხედავად ბოლო წლებში დანაშაულთა საგრძნობი კლებისა, საქართველოში წელიწადში დაახლოებით 240-260 განზრახ მკვლელობა და მკვლელობის 300-მდე მცდელობა ხდება. სავალალო ციფრია, მით უმეტეს, თუ შევადარებთ დასავლეთის ქვეყნებს, რომლისკენაც ვისწრაფვით, დემოკრატიული და სამართლებრივი ღირებულებებიდან გამომდინარე. მსოფლიოს ისეთ ქვეყნებში, სადაც მოსახლეობა ჩვენზე 15-20-ჯერ მეტია, მაგალითად, გერმანიაში წელიწადში მკვლელობის 380-400 ფაქტი აღირიცხება, საფრანგეთში — 250-270, ინგლისში — 70-90, კანადაში — 160-180, ავსტრალიაში — 60-80, იაპონიაში კი — 50-70. საზოგადოებამ სახელმწიფოსთან ერთად უნდა იზრუნოს ქვეყანაში, განსაკუთრებით მომავალი თაობების ჩამოყალიბებაში ქრისტიანული ღირებულებების დამკვიდრებაზე და ლიბერალური პოლიტიკის განხორციელებაზე. ასევე უნდა შეიცვალოს მიდგომები და ადამიანს უნდა შევხედოთ, როგორც მორალურ არსებას და არა მანქანას ან საშუალებას.

**— ლიბერალური პოლიტიკა ახსენეთ... რას გულისხმობთ ამ ღირებულებებში?**

— ლიბერალიზმი თავისი ფესვებით ეყრდნობა ჰუმანიზმს. იდეა იმაშია, რომ მხოლოდ თავისუფალი პიროვნება შეიძლება, გახდეს საფუძველი სტაბილური საზოგადოებისა. მისი ფუნდამენტალური პრინციპები მოიცავს ეკონომიკურ თავისუფლებას, კერძო საკუთრების, ინტელექტუალური თავისუფლების და ადამიანის უფლებათა დაცვას. კლასიკური ლიბერალიზმი გამომდინარეობს იმ გარემოებიდან, რომ უფლებები ეკუთვნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, ხოლო სახელმწიფო არსებობს მხოლოდ ამ უფლებების დასაცავად. მოგეხსენებათ, ლიბერალიზმი კლასიკური გაგებით მოიცავს ბევრ მიმდინარეობას — ეკონომიკურ ლიბერალიზმს, რომლის პრიორიტეტია კერძო საკუთრების მხარდაჭერა და რომელიც მიმართულია სახელმწიფო რეგულირების წინააღმდეგ; პოლიტიკურ ლიბერალიზმს — მოძრაობას ლიბერალური დემოკრატიისაკენ, ავტორიტარიზმის და აბსოლუტიზმის წინააღმდეგ; კულტურულ ლიბერალიზმსა და პიროვნების თავისუფლებას — პატრიოტული და რელიგიური შეზღუდვების გათვალისწინებით; სოციალურ ლიბერალიზმს — მოქალაქეთა თანაბარი შესაძლებლობებისკენ სწრაფვას; მესამე თაობის ლიბერალიზმს — მოძრაობას ჯანსაღი ცხოვრებისაკენ. შესაბამისად, ლიბერალიზმის ფუნდამენტური თანამედროვე პრინციპებია ინდივიდუალური სამართალი, თანასწორობა და თანასწორი უფლებები, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა, მთავრობა არჩეული სამართლიან არჩევნებში. ეს სახელმწიფო პრინციპები ასახულია ისეთ დოკუმენტში, როგორიც არის ადამიანის უფლებათა დეკლარაცია. სხვათა შორის, სწორედ ლიბერალური სახელმწიფოს იდეა დაედო საფუძვლად ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციას. იქ მთავრობა ხელმძღვანელობს მოქალაქეთა თანხმობით, ხელისუფლების გამჭვირვალობით, პლურალიზმით და დემოკრატიით სახელმწიფო მართვასა და ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში.

**— დავუბრუნდეთ ჩვენს კანონმდებლობას. მინდა გკითხოთ, რამდენად შეეხო ლიბერალური მიდგომები ჩვენს საკანონმდებლო ბაზას?**

— მართალი გითხრათ, ამ მიმართულებით ნაბიჯები მხოლოდ ბოლო ორი წელიწადია, გადაიდგა. მიღებულ იქნა სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსი, ცვლილებები განხორციელდა სისხლის სამართლის კოდექსში, რომლის შემუშავებაშიც ჩვენც ვმონაწილეობდით. დასრულდა ცვლილებების პირველი ეტაპი საარჩევნო კოდექსში და ბევრი ახალი და საინტერესო კანონპროექტი მომზადდა. აქვე მინდა, აღვნიშნო, რომ ამჟამად პარლამენტში რამდენიმე ჩვენი კანონპროექტი განიხილება, მათ შორის — თვითმმართველობის განვითარების და სოფლის განვითარების შესახებ, ლუსტრაციისა და პატრიოტის აქტის გაერთიანებული პროექტი — „თავისუფლების ქარტია“, ასევე რამდენიმე ახალი კანონპროექტი, რომელთა განხილვა სავარაუდოდ, მალე დაიწყება. ეს არის ცვლილებები სისხლის სამართლის კოდექსში, საერთო სასამართლოების და უზენაესი სასამართლოს ორგანულ კანონებში, იარაღის შესახებ კანონში... მინდა, გითხრათ, რომ საზოგადოებას კიდევ რამდენიმე საინტერესო კანონპროექტს შევთავაზებთ. მთავარი ისაა, რომ ქვეყანაში დაიწყო და სისტემური, შეუქცევადი ხასიათი მიიღო შემწყნარებლობის დანერგვამ საზოგადოებაში, რაც ბოლო ორი წლის მანძილზე ამნისტიის გამოცხადებაში, ვადაზე ადრე გათავისუფლების და შეწყალების ინსტიტუტების ამოქმედებაში გამოიხატა.

**— თქვენი ინფორმაციით, როდისთვის იგეგმება მორიგი შეწყალება?**

— პროცესი აუცილებლად გაგრძელდება, მორიგი შეწყალება კი მიმდინარე თვის ბოლოს იგეგმება. იმედი მაქვს, რომ იმ ადამიანებს, რომელთაც პირველი დანაშაული აქვთ ჩადენილი, დასკვნების გაკეთებისა და ცხოვრების ხელახლა დაწყების საშუალება მიეცემათ.

**საინფორმაციო სააგენტო „პირველი“.**

სიმართლე კი ასეთია!

# ქართველთა კავშირი კატეგორიულად მოითხოვს!..

## საინფორმაციო სააგენტო „პირველი“ უცვლელად გთავაზობთ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ გრიგოლ ვაშაძისადმი ბელგიის ქართველთა კავშირის მიმართვას

„ბატონო მინისტრო, როგორც მოგეხსენებათ, ამა წლის 25 და 26 მაისს ბელგიაში ჩამოსულები იყვნენ ქართველი ჟურნალისტები, კერძოდ, ჟურნალისტური ასოციაცია „ოფიქტიის“ წარმომადგენლები, ასევე საქართველოში მოღვაწე ადამიანის უფლებათადამცველები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც მოწვეულნი იყვნენ ფრანგული ჟურნალისტური ასოციაციის – „ჟურნალისტები ჟურნალისტებისათვის“ მიერ. დაგეგმილი იყო შეხვედრები ევროპულ ჟურნალისტებთან, არასამთავრობოებთან, ევროკომისიის და ევროკავშირის საბჭოს წარმომადგენლებთან. შეხვედრაზე მიწვეულნი იყვნენ ასევე ბელგიაში მცხოვრები ქართველები. თქვენი უწყების პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი, აცხადებს რა ამ შეხვედრას „...საქართველოს დიასპორული ორგანიზაციის ოფიციალური დაფუძნების მიზნით ჩატარებულად“, უდიდეს მიზანმიმართულ ტყუილს ავრცელებს, რათა ქართული საზოგადოებისათვის არ იქნეს ცნობილი ის ფაქტი, რომ ქართველმა უფლებადამცველებმა და ჟურნალისტებმა შესძლეს იმ ზღუდისა და ბარიერის გარღვევა და სიმართლის ევროპაში გატანა, რაც საქართველოში ერთობ კარგადაა შეფუთული „დემოკრატიულობის“ იმიჯით. მათი დამსახურებით ჩვენ დეტალურად გავეცანით ჩვენს სამშობლოში არსებულ რეალობას: თუ როგორ კლავენ, ასახიჩრებენ და ანადგურებენ ადამიანებს! თუ როგორ ხდება კერძო საკუთრების ხელყოფა და სხვადასხვა...

თქვენი უწყების მხრიდან იმდენი ტყუილი ითქვა უკვე ზემოაღნიშნული შეხვედრების შესახებ, რომ ამ ტყუილებზე პასუხის გაცემა ჩვენ დროის უაზრო ხარჯვად მიგვაჩნია. თუმცა არ შეგვიძლია, არ აღვნიშნოთ რამდენიმე გარემოება. კერძოდ: ქართული დიპლომატიის „მაღალი პროფესიონალობის“ უზადო „დამსახურებაა“ ის ფაქტი რომ გაურკვეველი დროით გადაიწია ევროპაში საქართველოს მოქალაქეების „გამარტივებული ვიზებით“ მიმოსვლის პერსპექტივამ.

დრო რომ აღარ დავკარგოთ იმის მტკიცებაზე, რომ საქართველოს საელჩოები ევროპაში დაკომპლექტებულია მეტწილად არაპროფესიონალი კადრებით და დიპლომატობისაგან ძალიან შორს მდგომი „დიპლომატებით“, ბელგიაში ქართველთა კავშირი გილოცავთ თქვენი დიპლომატების მიერ დიპლომატიაში ახალი მეთოდის დანერგვას, კერძოდ, მოქალაქეებთან ურთიერთობის ახალ და „მობილურ“ მეთოდს – მოკლე ტექსტური შეტყობინების (სმსძ გაგზავნას მობილურ ტელეფონებზე;

თქვენი დეპარტამენტის მტკიცებით, ბრიუსელში 25 მაისს რუსეთის საელჩოს ძალისხმევით, ჩატარდა ანტიქართული მიტინგი, რომლის დროსაც თურმე, ანტიქართული პლაკატებით დარბოდნენ. ეს ინფორმაცია გადამოწმდა ჩვენი კავშირის შესაბამისი სამსახურის მიერ ქალაქ ბრიუსელის პოლიციაში და პოლიციამ ეს კატეგორიულად უარყო. მათი მტკიცებით, მსგავს რამეს ადგილი არ ჰქონია, რადგან ზუსტად 25 და 26 მაისს ტარდებოდა ევროპის ეკონომიკური სამიტი და ასეთ აქციას ბრიუსელის პოლიცია არ დაუშვებდა, ვისი ორგანიზებითაც არ უნდა ყოფილიყო ეს გაკეთებული. თანაც, ეს გამორიცხული იყო იქ, სადაც პატივცემული ელჩი მიუთითებს – ევროკომისიის შენობის წინ.

გვინდა, დარწმუნებული ვიყოთ, რომ ქალბატონი ელჩი იცნობს ბრიუსელში ნებისმიერი ასეთი სახის აქციის გამართვის წესს და რეგლამენტს, რომ ევროსტრუქტურების წინ ნებისმიერი აქციის ჩატარების ნებართვის მიღებას სჭირდება არანაკლებ 10 სამუშაო დღე. ასე, რომ, ნაუცბათევად არანაირი აქცია ბრიუსელში არ ტარდება და თუნდაც ტარდებოდეს, საელჩო ამას არ უნდა იგებდეს „ელჩისათან არსებული სამრევლო“ წევრისაგან მობილურზე დარეკვის გზით!

ასევე სიცრუეა იმის უსუსური მტკიცება, თითქოს 26 მაისს ქართველები მიწვეულნი იყვნენ საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად. ეს შედის სალჩოს პრეროგატივაში და ეს მას უნდა გაეკეთებინა, მაგრამ ბელგიაში მცხოვრები ქართველებისა უმრავლესობამ ასეთი რამ არასოდეს გვახსოვს.

25 და 26 მაისს ტარდებოდა სრულიად სხვა სახის შეხვედრა და ეს ორგანიზებული იყო ჟურნალისტთა ფრანგული ასოციაციის – „ჟურნალისტები ჟურნალისტებისათვის“ მიერ, რაშიც ჩვენ, ბელგიაში მცხოვრებმა ქართველებმა, ჩვენი ასოციაციის სახელით შევთავაზეთ დახმარება. ჩვენს თავზე ავიღეთ შეხვედრის ტექნიკური მხარე და სხვა საორგანიზაციო საკითხები.



ჩვენი კავშირი საჭიროდ არ თვლის, თავი ანგარიშვალდებულად არ მიგვაჩნია, ჩვენი გეგმებისა და მოქმედებების შესახებ საქმის კურსში ჩავაყენოთ საელჩო და პირადად ქალბატონი ელჩი, ვინაიდან ვმოქმედებთ ბელგიის სამეფოს კანონებით და ვიყენებთ ჩვენს უფლებებს, მონიჭებულს კანონით შეკრებების, გაერთიანებების და ასოციაციების შესახებ და რაც მყარად გარანტირებულია ბელგიის სამეფოს კონსტიტუციით. ასევე გვინდა, აღვნიშნოთ, რომ ჩვენი კავშირის წევრები არიან ეთნიკური ბელგიელებიც, რომლებიც პატივს სცემენ ქართულ კულტურას და უყვართ ქართველები და საქართველო.

ხაზგასმით გვინდა, აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ არც 25 და არც 26 მაისის შეხვედრებზე მიწვეული არ იყო რუსული საინფორმაციო საშუალებების არც ერთი ჟურნალისტი და მით უმეტეს, საელჩოს წარმომადგენელი. ისინი რომც ყოფილიყვნენ მიწვეულნი, ამას ჩვენ თვითონვე შევეწინააღმდეგებოდით, რადგან ეს ადამიანური გაგებით მიუღებელია ჩვენს სამშობლოში არსებული ვითარების ფონზე. ამიტომ აღშფოთებას იწვევს ელჩის და მისი დავალებით, კონსულის უაზრობამდე დასული ისტერიკა, რომ ეს დაფინანსებული იყო რუსების მიერ, რომ იქ იყვნენ რუსეთის საელჩოს ხალხი (35 კაცი – საინტერესოა, როდის მოასწრეს დათვლა, ან სად ნახეს ისინი მაშინ, როცა დარბაზში სულ 30 ადგილი იყო?ძ და ასე შემდეგ...

თქვენს ყურადღებას გავამახვილებთ ერთ თვალშისაცემ ფაქტზე, რომ თქვენი დეპარტამენტი და ბრიუსელში თქვენი საელჩო თქვენს განცხადებაში მოგონილ ვითომ „ფაქტებს“ და „მოვლენებს“ ერთმანეთში ურევს და ასევე ერევა თარიღებიც. იქნებ, ქრონოლოგიურად „კარგად“ დაალაგოთ ეს თქვენი სიცრუე და „დამაჯერებლად“ აგვიხვიოთ თვალი!

ხოლო ქართული საზოგადოებისათვის თვალის ახვევა რომ გჭირდებათ, ჩვენ ამაში დარწმუნებულნი ვართ და აი, რატომ: ქალბატონ ელჩს აღნიშნული შეხვედრის თაობაზე არ გაუგია არც „დიასპორის“ წევრისაგან, არც „საქართველოს აღშფოთებული მოქალაქისაგან“ და არც „პლაკატებმოფრიალე“ რუსები დაუძლანდავს ბრიუსელის ქუჩებში. სიმართლე ისაა, რომ ეს ცნობილი გახდა მათთვის ელჩის მძღოლისგან, რომელსაც ჩვენ გავუგზავნეთ ელექტრონული შეტყობინება, რადგან მას მოსვლა უნდოდა ამ შეხვედრაზე და, ამდენად, იცოდა, რომ ეს შეხვედრა უნდა ჩატარებულიყო. ზუსტად ამის შემდეგ გამოგზავნეს შეხვედრის ჩასაშლელად რამდენიმე პიროვნება, რომელნიც არასწორად იყვნენ ინფორმირებული, თითქოს ეს იყო რუსების მიერ ორგანიზებული ღონისძიება, რომ ანტიქართველები და მოღალატეები ვიყავით და ასე შემდეგ. სიტუაციის გარკვევის შემდეგ მათ ბოდიშის მოხდით დატოვეს შეხვედრის ადგილი. სწორედ ამ ქართველების მანიპულირება და მათი გამოყენება მოხდა ბოროტი მიზნებით საელჩოს მხრიდან, რაშიც ისინი ჩვენ დაგვეთანხმნენ კიდეც.

ხოლო მეორე დიდი სიმართლე ისაა, რომ ქალბატონ ელჩს ხელიდან წაერთვა სიტუაციის მართვის სადავეები და მას „გაუბედეს“ „ვიღაც“ ჟურნალისტებმა და „შემთხვევითმა“ ქართველებმა ევროპული სტრუქტურებისათვის, ევროპული უფლებადამცველებისათვის და ჟურნალისტებისათვის საქართველოზე სიმართლის თქმა. რომ მას პასუხს მოსთხოვენ „ზემოთ“ იმისათვის, თუ როგორ დაუშვა ეს! იგი ხომ ელჩის გარდა, სპეციალური წარმომადგენელიცაა ევროსტრუქტურებში. აი , ესაა მთავარი მიზეზი მისი ჰალუცინაციებისა და არა ყურით მოთრეული რაღაც სასაცილო ვერსიები!

ბატონო მინისტრო, ჩვენ სერიოზულ ბრალდებად აღვიქვამთ ჩვენი არასამთავრობო ორგანიზაციის – „ბელგიის ქართველთა კავშირის“ დადანაშაულებას „რუსების მიერ მოსყიდულ და დაფინანსებულ ძალად“ და რომელიც, თურმე, თქვენი ელჩის მტკიცებით, არც არსებობს.

რა თქმა უნდა, მას ეს არ ევალება, მაგრამ ქალბატონ ელჩს, სანამ ვინმეს რამეს დააბრალებს, ვურჩევთ, კარგად შეისწავლოს ბელგიის კანონები. „ბელგიის ქართველთა კავშირი“ ჩამოყალიბდა და ფუნქციონირებს ბელგიის კანონების სრული დაცვით. მას აქვს ფაქტობრივი ასოციაციის არაკომერციული სტატუსი, სრულიად განთავისუფლებულია სარეგისტრაციო ვალდებულებისაგან, განსხვავებით სხვა სტრუქტურის, კომერციული თუ არაკომერციული წარმონაქმნებისაგან.

საინტერესოა, ნუთუ არავინ არაა საელჩოში, ვინც ამას გააგებინებდა ქალბატონ სალომეს? არადა, ჩვენ ვიცით, რომ იქ ბევრი წესიერი და პატივსაცემი ადამიანი მუშაობს.

ქართველთა კავშირი ბელგიაში კატეგორიულად მოითხოვს ელჩისა და კონსულის გაწვევას ბელგიიდან, ვინაიდან ისინი ჩვენს სამშობლოს უქმნიან არასახარბიელო იმიჯს თავიანთი არასერიოზული მოქმედებებით; მათი მხრიდან ჩვენი ორგანიზაციის შეურაცხყოფისათვის საჯაროდ ბოდიშის მოხდას; წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებულნი ვიქნებით, მივმართოთ შესაბამის უწყებებს, ვინაიდან შელახულია ჩვენი ღირსება და პროფესიული საქმიანობა. საელჩოს მაინც მოუწევს ჩვენს მოთხოვნებზე პასუხის გაცემა, რადგან იგი ვალდებული იქნება, დაამტკიცოს მათი მხრიდან ჩვენს მიმართ გამოთქმული ყველა ბრალდება.

საინტერესოა, როგორ ახსნის ქალბატონი სალომე იმ ფაქტს, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი (ანუ თქვენ, ბატონო გრიგოლძ წლების განმავლობაში თვითონაა რუსეთის სახელმწიფოს მოქალაქე და რუსეთის სახელმწიფოს წინაშე ანგარიშვალდებული. როგორც გვახსოვს, ბატონი მინისტრი ამით ამაყობდა კიდეც, რაც, რა თქმა უნდა, მისი ადამიანური და ჩვეულებრივი უფლებაა, მაგრამ ამის შემდეგ საინტერესოა, რატომ ეძებს ქალბატონი სალომე სამადაშვილი რუსეთის აგენტებს სხვაგან, როცა მისი მინისტრი რუსეთის მოქალაქეა?!

ბატონო მინისტრო, ამა თუ იმ ქვეყნის პასპორტის ფოსტით გაგზავნა შესაბამის უწყებაში არ ნიშნავს ამა თუ იმ ქვეყნის მოქალაქეობაზე უარის თქმას, მოქალაქეობის მიღებას და მით უმეტეს მოქალაქეობაზე უარის თქმას შესაბამისი წესი და რიგი აქვს და ყველაზე კარგად ეს თქვენ მოგეხსენებათ“, – ნათქვამია განცხადებაში, რომელსაც ბელგიის ქართველთა კავშირის სახელით **მერაბ ბლადაძე, მარიამ ბარბაქაძე, რობერტ კოპპენსი და გიორგი ლაფანაშვილი** აწერენ ხელს.


# ყურადღება, კონკურსი!

**შპს „ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი“** 2010 წლის 05 ივნისიდან აცხადებს კონკურსს **სრული, ასოცირებული და ასისტენტ-პროფესორის** აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად, შემდეგ სპეციალობებზე:

- ტურიზმი;
- საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმე;
- ინფორმაციული ტექნოლოგიები.

**საკონკურსო მოთხოვნები:**

**სრული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:**

- დოქტორის აკადემიური ხარისხი ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი; 6 წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება;

**ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:**

- დოქტორის აკადემიური ხარისხი ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი; 3 წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება;

**ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:**

- დოქტორის აკადემიური ხარისხი ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი ან აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დოქტორანტის სტატუსი;

**კონკურსში მონაწილეობის მიღებისათვის წარმოსადგენი დოკუმენტაცია:**

განაცხადი კონკურსში მონაწილეობის თაობაზე და შევსებული სააპლიკაციო ფორმა (შეგიძლიათ გადმოტვირთოთ უნივერსიტეტის ვებ-გვერდიდან ან მიიღოთ ადგილზეძ; სილაბუსები; ავტობიოგრაფია (CVძ; სარეკომენდაციო წერილი ან 2 რეკომენდატორის საკონტაქტო რეკვიზიტები; აკადემიური/სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის სათანადო წესით დამოწმებული ასლი; სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტის სათანადო წესით დამოწმებული ასლი; 2 ფერადი ფოტოსურათი (ზომა 3X4ძ;

საკონკურსო განაცხადის და დოკუმენტაციის წარმოდგენა შესაძლებელია შპს „ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის“ საკონკურსო კომისიის სამდივნოში (ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №47ძ 2010 წლის 05 ივლისიდან 2010 წლის 21 ივლისის ჩათვლით.

კონკურსი ჩატარდება საბუთების მიღების დასრულებიდან 1 თვის შემდეგ.

კონკურსი ჩატარდება 2 ეტაპად: – კონკურსანტების საბუთების ანალიზი და საკონკურსო კომისიასთან გასაუბრება. ის პირები, რომლებიც წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, არ აკმაყოფილებენ აკადემიური თანამდებობის დაკავებისათვის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, გასაუბრების ეტაპზე არ დაიშვებიან.

**დაინტერესებულმა პირებმა აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსის შესახებ დამატებითი ინფორმაცია (მათ შორის სალექციო კურსების ჩამონათვალი) გთხოვთ იხილეთ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: www.icu.edu.ge ან მობრძანდეთ საკონკურსო კომისიის სამდივნოში (ქ. თბილისი, კოსტავას 47).**

მოსაზრება

*30 მაისის არჩევნებისთვის ოპოზიციამ ერთიანობას ვერ მიაღწია. ამის მიზეზად ფორმულა „ყველა – მინუს ერთი (ნოღაიდელი)“ და ალასანიას კანდიდატურასთან დაკავშირებით „ალიანსის“ ულტიმატუმი დასახელდა. შეუთანხმებლობას ურთიერთბრალდებები მოჰყვა. „ეროვნულმა საბჭომაც“ და „ალიანსმა საქართველოსთვისაც“ თავის გამართლების მიზნით იმაზე დაიწყეს კამათი, ალასანიას მეტი რეიტინგი ჰქონდა თუ ძიძიგურს და ვის უფრო ეკუთვნოდა კანდიდატურის მოხსნა მეორის სასარგებლოდ.*

*საბოლოოდ, ოპოზიციამ არჩევნები წააგო. ექსპერტთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მერობის საერთო კანდიდატის ყოლის შემთხვევაში, ოპოზიციას თბილისის მერის არჩევნების მოგება შეეძლო.*

*რას ფიქრობს ამ ბრალდებებზე „ეროვნული საბჭოს“ მერობის კანდიდატი ზვიად ძიძიგური? ამის შესახებ მას საინფორმაციო სააგენტო „მედიანიუსი“ ესაუბრა.*



# პარტნიორის გადაგდება ალიანსელებისთვის მისაღებია, ჩვენთვის კი – მიუღებელი და არავაჟკაცური

**– ბატონო ზვიად, ექსპერტები 30 მაისის არჩევნებში ოპოზიციის დამარცხების მიზეზად ერთ კანდიდატზე შეუთანხმებლობას ასახელებენ, კერძოდ კი, უფრო თქვენ გადანაშაულებენ, რადგან არჩევნებმა აჩვენა, რომ ირაკლი ალასანიას თქვენზე გაცილებით მეტი რეიტინგი ჰქონდა.**

– ვინ არიან ის ექსპერტები, ექსპერტობა რომ დაიბრალეს? ჩვენ გაერთიანებისთვის ყველაფერი გავაკეთეთ. ჭადრაკის სასახლის შეხვედრა ამის დასტურია, მაგრამ ალასანიამ და ალიანსმა საბოლოოდ ყველაფერი ჩაშალეს.

**– იმ მომენტში, ოპოზიციის ერთიანობის მისაღწევად ერთადერთი დაბრკოლება ზურაბ ნოღაიდელი იყო. რატომ ვერ შეელიეთ ნოღაიდელს?**

– ერთია პოლიტიკა და მეორეა ვაჟკაცობა და კაცობა. პარტნიორის გადაგდება ჩვენთვის მიუღებელი და არავაჟკაცურია. ალიანსელებისთვის ეს მისაღებია, მაგრამ ჩვენთვის – არა.

**– როდესაც წლების განმავლობაში ხელისუფლების შესაცვლელად იბრძვით და აცხადებთ, რომ ეს ხელისუფლება თუ არ შეიცვალა, ქვეყანა დაიღუპება. ამ დროს კი, არჩევნების გზით გაქვთ რეალური შანსი ნაწილობრივ მაინც შეცვალოთ ხელისუფლება და ამ შანსს ხელიდან ვაჟკაცობის და პარტნიორის ერთგულების გამო ხელიდან უშვებთ?**

– კითხვას არასწორი მიმართულებით სვამთ. ეს კითხვა სხვებისკენ უფრო უნდა იყოს მიმართული. სხვებს რატომ არ ეკითხებით, ერთიანობისთვის თვითონ რატომ არ წავიდნენ კომპრომისებზე? კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ჩვენ გაერთიანებისთვის ყველაფერი გავაკეთეთ, მაგრამ სხვებს არ სურდათ ერთიანობა.

**– არჩევნების წაგების მთავარ მიზეზად თქვენ რა მიგაჩნიათ?**

– ის, რომ ოპოზიციამ ვერ შეძლო, ხელი შეეშალა ხელისუფლების უკანონო ქმედებებისთვის, რომელსაც არჩევნების მოსაგებად იყენებდა.

სოციალური ყოფა

# ხალხი კი მაინც უკიდურესად ღარიბია!

## რა აწუხებთ იმერელ პენსიონერებს?

**დღეს უამრავი პრობლემა აწუხებს საზოგადოების ყველაზე ულარიბესსა და უმწეო ნაწილს – პენსიონერთა დიდ უმრავლესობას. ამ ადამიანებმა ქვეყნის წარსული და დღევანდელობა შექმნეს და თავიანთი შრომით გზა ისეთი სინდისიერებით განვლეს, რომ ხაზინის ქურდობით, ქრთამითა და ნაარმალით არასოდეს უცდიათ გამდიდრება.**

პენსია, რომელსაც ეს ამაგდარი ადამიანები ამჟამად იღებენ, რამდენჯერმე ნაკლებია საარსებო მინიმუმზე და არა თუ გაზის, ელექტროენერგიის, წყლისა და დასუფთავების გადასახადებისთვის, კვებისა და წამლებისთვისაც არ კმარა. ამ უკიდურეს შეჭირვებას კიდევ უფრო ამძაფრებს დედაქალაქისა და პერიფერიის პენსიონერთა შორის ხელოვნურად შექმნილი დაპირისპირება. სხვადასხვა ვაუჩერი და პენსიაზე 10 ლარის დანამატი, რაც ადგილობრივი არჩევნების წინ სახელმწიფო ბიუჯეტში უკანონოდ ხელის ფათურით თბილისის მერმა საკუთარი პიარისთვის გაკვაჭგააკვარახჭინა, მრავალმხრივ მავნე და მიუღებელია თუნდაც იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, კიდევ უფრო ზრდის თავკომბალასავით არაპროპორციული ქვეყნის ასიმეტრიულობას და, მეორეც, ხელს უწყობს დედაქალაქისა და დანარჩენი საქართველოს დაპირისპირებას იმ მცდელობის სასარგებლოდ, რაც ავადმოსაგონარი სუსლოვის დღემდე მოქმედ ცნობილ დოქტრინაშია ჩამოყალიბებული.

ამ და ბევრ სხვა მტკივნეულ საკითხზე იყო საუბარი საქართველოს პენსიონერთა კავშირის იმერეთის რეგიონული ორგანიზაციის დამფუძნებელ კრებაზე, რომელსაც პენსიონერთა აქტივი ესწრებოდა. კრებაზე სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს პენსიონერთა კავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ნოდარ გავაშელი, ამავე კავშირის რესპუბლიკური კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგე ჯემალ ფაშალიშვილი, გაზეთ „რიონის“ მთავარი რედაქტორი, პენსიონერთა კავშირის იმერეთის რეგიონული ორგანიზაციის დამფუძნებელთა ჯგუფის ხელმძღვანელი ბიჭიკო ზვიადაძე, ზესტაფონისა და სამტრედიის პენსიონერთა და ვეტერანთა პროფკავშირის თავმჯდომარეები აზა ბიბილაშვილი და ინეზა გორდულაძე, პროფესორი ვლადიმერ ყავლაშვილი და სხვები, მათ შორის ამ სტრიქონების ავტორიც.

კრებამ აირჩია პენსიონერთა კავშირის იმერეთის რეგიონული ორგანიზაციის გამგეობა, რომელსაც ჟურნალისტი ბიჭიკო ზვიადაძე თავკაცობს.



– პენსიონერთა ცხოვრებისეული გამოცდილება მრავალმხრივ საყურადღებო და ფრიად სასარგებლოა, – ხაზგასმით ითქვა დამფუძნებელ კრებაზე, – მათთან დათათბირება და ჯანსაღი აზრის გათვალისწინება დიდად წაადგება ჩვენს სამშობლოს, სადაც თესლი უკუღმა რომ გადააგდო, წაღმა ამოვა, მაგრამ ხალხი დღემდე მაინც უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს.

**ალექსანდრე შენგელია,**
**საქართველოს პენსიონერთა კავშირის იმერეთის რეგიონული ორგანიზაციის გამგეობის წევრი.**

ინფორმაცია

# კოკაინი რომ არ შემოეტანათ, რითი იყიდდნენ ბავშვებისთვის დაპირებულ კომპიუტერებს?

**სპეცოპერაციის** შედეგად ამოღებული თანხა მთლიანად პირველკლასელებისთვის კომპიუტერების შეძენას მოხმარდება.

ეს განცხადება გუშინ პრესკონფერენციაზე საქართველოს პრეზიდენტის პრეს-სპიკერმა მანანა მანჯგალაძემ გააკეთა.

მისი თქმით, პრეზიდენტმა შესაბამის ორგანოებს დავალება მისცა, რომ ამოღებული 2 მილიონამდე ევრო სწორედ პირველკლასელთათვის კომპიუტერების შეძენას მოხმარდეს.

– პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ ქართველი სამართალდამცველების მიერ მასშტაბური სპეცოპერაციის დროს ამოღებული თანხები სასარგებლო საქმეში უნდა ჩაიდოს, – აღნიშნა მანჯგალაძემ.

შეგახსენებთ, რომ ე.წ. „კოკაინის საქმეზე“ 2 ივნისს ქუთაისსა და თბილისში მევლუდ სვანიძე, რომან მუსელიანი, ანასტასია ზაუტაშვილი, გიორგი ჩეჩელაშვილი და თენგიზ გურჩიანი დააკავეს.

წინასწარი ინფორმაციით, ბრალის დამტკიცების შემთხვევაში ხუთივეს სამუდამო პატიმრობა ემუქრებათ.

შს სამინისტროს ინფორმაციით, საქართველოში დაბადებული ნუგზარ ბოჭორიშვილი, რომელიც საბერძნეთის მოქალაქეა და ესპანეთში ცხოვრობს, პანამიდან, პერუდან და კოლუმბიიდან მათ რეგულარულად უგზავნიდა ჯართს, სადაც კოკაინის დიდი პარტიები იყო დამალული საერთაშორისო ბაზრებზე შემდგომი გადანაწილების მიზნით.

საქართველოში ჯართის ბოლო პარტია 2009 წლის ივლისში შემოვიდა და მასში 90 კილოგრამი კოკაინი აღმოაჩინეს.

სპეცოპერაციის შედეგად ამოღებულია ნარკოტიკული ნივთიერებების რეალიზაციიდან მიღებული მილიონ შვიდასი ათასი ევროც.

გავრცელებული ინფორმაციით, არსებობს მტკიცებულებები, რომ ჯგუფს კრიმინალური ავტორიტეტი შაქრო კალაშოვი აკონტროლებდა.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ქართველ სამართალდამცავებს მასშტაბური ოპერაციის ჩატარების გამო, რომლის დროსაც ნარკომოვაჭრეების ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი გამოვლინდა, მადლობას უხდის.

# თუ ფული არა გაქვს, უსამართლოდ დაიჩაგრებიო

**ქრისტიან-დემოკრატები** ადმინისტრაციულ სასამართლოში სარჩელის შეტანისას ბაჟის მოხსნას ითხოვენ. ამის შესახებ განცხადება პარლამენტში საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე ქრისტიან-დემოკრატების წარმომადგენელმა ნიკა ლალიაშვილმა გააკეთა, რომელიც ამავე დროს იუსტიციის საბჭოს წევრიც არის.




როგორც ლალიაშვილმა აღნიშნა, იმის გამო, რომ ადმინისტრაციულ სასამართლოში სარჩელის შეტანისათვის აუცილებელია ბაჟის გადახდა, რომელიც 100 ლარიდან იწყება და ხშირად რამდენიმე ასეულ ლარსაც შეადგენს, მოქალაქეების საკუთარი სიმართლის დამტკიცებას ვერ ახერხებენ.

– დღეს საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე დარწმუნებულიც რომ იყოს თავისი სამართლებრივი პოზიციის მართებულობაში, მაინც ვერ აღძრავს სარჩელს სახელმწიფო ადმინისტრაიცული ორგანოების წინააღმდეგ და ვერ დაიცავს თავის დარღვეულ უფლებებს, თუ იგი ვერ იხდის სახელმწიფო ბაჟს, რომელიც ხანდახან რამდენიმე ასეულ ლარს აჭარბებს. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ არ გაქვს ფული, ვერ დაიცავ შენს ინტერესებს და უსამართლოდ დაიჩაგრები სახელმწიფო აპარატის მხრიდან შენი უსახსრობის გამო. აი ასეთია ქართული მართლმსაჯულება დღეს, ასეთია ხელმიუწვდომელი სასამართლო საქართველოში, – აცხადებს ნიკა ლალიაშვილი და მიიჩნევს, რომ ეს პრინციპი დაუყონებლივ უნდა შეიცვალოს.

მისი განმარტებით ქრისტიან-დემოკრატებს უკვე მომზადებული აქვთ კანონპროექტი, რომელიც ეხება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ საკითხს და ითხოვენ, რომ აღნიშნული მუხლი შეიცვალოს და მოიხსნას ადმინისტრაციულ სასამართლოში სარჩელის შეტანისათვის ბაჟის გადახდის აუცილებლობა.

შეგახსენებთ, რომ აღნიშნული მუხლი წინა მოწვევის პარლამენტმა შეცვალა და ადმინისტრაციულ სასამართლოში სარჩელის შეტანისათვის ბაჟი დააწესეს. კანონი ძალაში 2007 წლის 28 დეკემბერს შევიდა. მანამდე აღნიშნული სარჩელის შეტანისათვის ბაჟის გადახდა არ იყო საჭირო.

ჯი-ეიჩ-ენი

ინფორმაცია

# ევროკომისია 417 მილიონს გვპირდება

**ევროკომისიამ** საქართველოს დასახმარებლად 417 მილიონი ევროს პროგრამა დაამტკიცა. ამის შესახებ ნათქვამია ორგანიზაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში.

– ჩვენ ხელს ვუწყობთ საქართველოში რეფორმების გატარებას, რათა თითოეულმა მოქალაქემ საკუთარ თავზე გამოსცადოს ევროკავშირთან დაახლოების კონკრეტული შედეგები, როგორებიცაა ადამიანის უფლებები, ეკონომიკური ზრდა და კეთილდღეობა, – ნათქვამია განცხადებაში.

პროგრამა საქართველოში ეკონომიკური ზრდისა და რეგიონული განვითარების სტიმულირებას ისახავს მიზნად. მასში გათვალისწინებულია ასევე საქართველოს ინტეგრაცია ევროკავშირის ბაზარზე და სოციალურად დაუცველი ადამიანებისათვის დახმარების უზრუნველყოფა.

გარდა ამისა, პროგრამა ხელს შეუწყობს ქვეყნის ვალისა და საჯარო ფინანსების მართვის ეფექტური სისტემის შემუშავებას.

# ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია

**ყვარელში** მომხდარი ავტოავარიის შედეგად დაშავებული ბავშვები – ორწლინახევრის ტყუპი გოგოები და სამი წლის ბიჭი თბილისში იაშვილის სახელობის კლინიკაში გადმოიყვანეს.

მათ დაჟეჟილობები აღენიშნებათ. ერთ-ერთს უკვე ჩაუტარდა ოპერაცია. სამივე მცირეწლოვანის ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ დროისათვის დამაკმაყოფილებელია.

ავტოსაგზაო შემთხვევა ყვარელში ხუთშაბათს მოხდა.

ცენტრალურ ავტომაგისტრალზე დიდი სიჩქარით მოძრავი ავტომანქანა, რომელსაც ბავშვების დედა მართავდა, ხეს შეეჯახა.

ჯი-ეიჩ-ენი



ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №167

# ემიგრაციის ასპექტი

ჩვენი სამშობლოს ფონდსაცავთა შორის, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და თავისი მასშტაბით, სრულიად უნიკალური, **საქართველოს ეროვნული არქივი,** მსოფლიოს ყველაზე ცნობილ განძსაცავებს შეიძლება შევადაროთ, თუ გავითვალისწინებთ ამ დაწესებულების სპეციფიკას, საქმიანობის სტრუქტურას, საფონდო-სამეცნიერო სამუშაოებს და არქივარიუს პროფესიონალთა რამდენიმე თაობას, ვაჟა-ფშაველას დასაწყისში არსებული ამ კვლევითი ცენტრის სათანადო შეფასება გაგვიძნელდება.

ეროვნული არქივის ფონდები პერმანენტულად მდიდრდება სხვადასხვა ეპოქის იკონოგრაფიული, ხელნაწერი, აუდიო-ვიდეომასალებით და დოკუმენტებით.

ვფიქრობთ, ყველაზე მნიშვნელოვანი ის გახლავთ, რომ ერის ისტორიული მეხსიერება აქ, პროფესიონალთა ხელში, საიმედოდაა დაცული და სხვადასხვა დროს, სხვადასხვა დეტალებით თუ დოკუმენტებით გვახსენებს თავს...

გთავაზობთ ახლადმიღებულ, უცნობ ექსპონატს ამ უნიკალური ფონდსაცავიდან.

ეს გახლავთ ოქმი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის კრებისა, რომელიც გაიმართა 1929 წელს, ქალაქ პარიზში.

**პირადად ჩვენ ამ დოკუმენტმა, კიდევ ერთხელ, სევდიან გუნებაზე დაგვაყენა, რადგან სტრიქონებში თუ სტრიქონებს მიღმა არაერთმნიშვნელოვნად იკითხება: საქართველოს საუკეთესო შვილთა შორის მუდმივი განხეთქილებანი, უთანხმოებანი, ვიწრო პარტიული ინტერესები... ეს თითქოს თანამდევი თვისებაა ჩვენი ერის და ეროვნული ხასიათის, როცა საქართველოში თუ საზღვარგარეთ, სამშობლოში თუ ემიგრანტთა საკრებულოებში, წინათ თუ ახლა, გამუდმებით ვუპირისპირდებით ერთმანეთს...**

რატომ უნდა ყოფილიყვნენ სხვადასხვა პოზიციებზე უკვე ისტორიად ქცეული განუმეორებელი სახელები: ისინი: **ექვთიმე თაყაიშვილი, ივანე ზურაბაშვილი, რეზო გაბაშვილი** თუ სხვები, ნამდვილი პატრიოტები, დიდი მოღვაწენი, საქართველოს სიყვარულით სიცოცხლის გამღებნი, სამშობლოზე ფიქრით შეძრწუნებულნი, დამაშვრალნი... რატომ არ ხდება საუკეთესო ქართველების ერთობა?

გთავაზობთ დოკუმენტს და მცირე კომენტარს (სტილი და ორთოგრაფია დაცულია).

***ოქმი***

*ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პასუხისმგებელ წევრთა კრებისა,*

*სამზღვარგარეთ, 28 აპრილს 1929. პარიზი*

*თავმჯომარეობს ბ.* ***ექვთიმე თაყაიშვილი,*** *დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგი და ერთი დამაარსებელთაგანი ეროვნ.–დემ. პარტიისა.*

*დაესწრნენ: 1.* ***ივ. ზურაბიშვილი,*** *თავმჯდ. პარიზის კომიტეტისა დამაარსებელნი ეროვნულ-დემოკ. პარტიისა*

*2. გიორ. გვაზავა, წევრი დამფუძნებელი კრებისა*

*3. პავ. თუმანიშვილი*

*4. დავ. სხირტლაძე*

*5. ნიკო ჯაყელი*

*6. ი. სარჯველაძე*

*7. დ. აფხაზი – თანამგრძნობი*

*წევრნი პარიზის კომიტეტისა*



რეზო გაბაშვილი

*განსახილველად იდგა საკითხი შესახებ იმ მდგომარეობისა, რომელიც შეიქმნა პარტიისათვის კომიტეტის წევრის ბ.* ***რეზო გაბაშვილის*** *განცხადების გამო მთავრობის თავმჯდომარის სახელზე.*

*გამოირკვა შემდეგი:*

*ბ-ნ რეზო გაბაშვილს წარუდგენია პარტიის კომიტეტის სახელით ეროვნულ ცენტრში მემორანდუმი ულტიმატიური მოთხოვნილებისა. შემდეგ საჭიროდაც არ დაუნახავს მოეცადა პასუხისათვის, და განუცხადებია წერილობით, მთავრობის თავმჯდომარის პარტიის სახელით, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია გამოდის საერთო ეროვნულ ფრონტიდან და იწვევს ყველა პარტიულ წევრს ყველა საერთო ფრონტის ორგანიზაციებიდან.*

*მსჯელობის შემდეგ კრებამ დაინახა, რომ ფრიად საპასუხისმგებლო ნაბიჯი, რომელიც არღვევს ეროვნულ ფრონტის მთლიანობას, არ შეეფერება არც პარტიულ პროგრამას, არც მის ტაქტიკას და ამავე დროს მოკლებულია ყოველ უფლებრივ საფუძველს, ვინაიდან:*

1. პრინციპი ეროვნულ ფრონტის მთლიანობისა მიღებული იყო საქართველოში, სადაც დამყარებულია მთელი სიმძიმე პარტიული მუშაობისა; ამიტომ იქ მებრძოლ ორგანიზაციის დაუკითხავად და მხოლოდ საზღვარ-გარედ დროებით შექმნილ ორგანიზაციის მიერ გადალახვა ამ პრინციპისა ყოვლად შეუწყნარებელია,

2. ზემოთ მოყვანილი განცხადება მიუღებელია მხოლოდ ზოგიერთ წევრთა მიერ მათი კერძო შეთანხმებით; იგი არც კი ჰცოდნია თვით თავმჯდომარეს, ბ-ნ ზურაბიშვილს, რომელიც ფორმალურად პირველი პასუხისმგებელი პირია კომიტეტის მოქმედებაში.

ამიტომ იბადება უფრო ვრცელი საკითხი, თუ რამდენად, შექმნილ პირობებში, ის კომიტეტი, რომლის სახელით ჰმოქმედებდა ბ. რ. გაბაშვილი, შეიძლება ჩაითვალოს პარტიის ნებისყოფის გამომხატველად და რამდენად შეუძლია მას აწარმოოს პარტიის სახელით პარტიული მუშაობა?

კრება აღნიშნავს, რომ ეს კომიტეტი, რომელსაც ეწოდება „გაერთიანებული ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის სამზღვარ-გარეთელი ბიურო“, შემდგარი იყო 1925 წელს შეთანხმებით. ამ შემთანხმებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა ყველა პასუხისმგებელი სამზღვარ-გარეთმყოფი პარტიული წევრი, ე. ი. დამფ. კრების, მთავარი კომიტეტის და ადგილობრივი კომიტეტის წევრნი – სულ 15 კაცი, და კოოპტაციით მოწვეული კიდევ ორი-სამ პირი. ეგ შეთახმება იყო აგებული უპირველეს ყოვლისა, საერთო ეროვნული ფრონტის დაცვის და გაძლიერების პრინციპზე. ეხლა ეს შეთანხმება დაირღვა, იგი არსებობს, ვინაიდან სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მიზეზის გამო, უფრო კი იმ ატმოსფეროს გამო, რომელიც შეიქმნა ზოგიერთი წევრის მოღვაწეობის წყალობით, ამ კომიტეტიდან გავიდნენ 11 (თერთმეტი) პირი, იმათ შორის თვით თავმჯდომარეც. ცხადია, ის კომიტეტი, რომელიც დაარსდა მხოლოდ შეთანხმებით და რომელსაც არა ჰქონდა და არა აქვს სხვა რაიმე საფუძველი თავისი არსებობისა, გარდა ამ შეთანხმებისა, ეხლა ამ შეთანხმების მოსპობით მოისპო თვითონ. ეხლა კომიტეტი არ არსებობს.

საჭიროება კი ნამდვილად პარტიულ ორგანოს შექმნისა სამზღვარგარეთ ეჭვის გარეშეა: ასეთ ორგანომ უნდა განაცხოველოს პარტიული მუშაობა, განამტკიცოს მთლიანი ეროვნული ფრონტი და წინ გადაეღობოს ყოველ იერიშს, საიდანაც ის არ მოდიოდეს, წინააღმდეგ საქართველოს მთლიანი სახისა, როგორც საერთაშორისო ერთეულისა. ასეთი ორგანო შეიძლება შეიქმნას მხოლოდ იმ პირთა ირგვლივ, რომლებიც ჰმუშაობდნენ პარტიაში დღიდან მისი დაარსებისა, იყვნენ გამომხატველნი მისი პროგრამის და დაიმსახურეს მისი ნდობა. ასეთნი არიან: პარტიის დამაარსებელნი, დამფუძნებელი კრების წევრნი, წევრნი მთავარი კომიტეტისა და წევრნი ადგილობრივი კომიტეტისა.

მიიღო რა მხედველობაში ყველა აღნიშნული გარემოებანი,

კრებამ დაადგინა:

1. – ზემოხსენებული განცხადება ბ. გაბაშვილისა შესახებ ფრონტის დაშლისა ჩაითვალოს ყოველ საფუძველს და ძალას მოკლებულად. ის არ არის სავალდებულო ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის წევრებისათვის.

2. – 1925 წელს შეთახმებით დაარსებული ე. წ. „გაერთიანებული ეროვ.-დემ. პარტიის სამზღვარ-გარეთელი ბიურო“ გამოცხადებულ იქნეს ფაქტიურად დაშლილად და გაუქმებულად.

**3. – დაარსდეს ამ კრებაზე დამსწრე პარტიის პასუხისმგებელი წევრებისაგან – რომელთა რიცხვში შედიან პარტიის დამაარსებელნი, დამფუძნებელი კრების, მთავარი კომიტეტის და ადგილობრივი პარიზის კომიტეტის წევრნი – სამზღვარ-გარეთელი პარტიული ორგანო, ამ სახელწოდებით: „სამზღვარ-გარეთელი კომიტეტი ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიისა“; და აღიარებულ იქნეს იგი როგორც ერთადერთი უმაღლესი ორგანო გაერთიანებულ ეროვნულ-დემ. პარტიისა, რომელმაც უნდა იქონიოს სათანადო კავშირი საქართველოსთან.**

4. – ყოველ წევრს დამფუძნებელ კრებისა და მთავარ კომიტეტისა, თუ ის კიდევ არის პარტიის წევრი და იზიარებს მთლიანი ეროვნული ფრონტის პრიციპს, უფლება აქვს გახდეს ამ კომიტეტის წევრი:

5. – კრება ერთხმად ირჩევს კომიტეტის ბიუროს შემდეგ პირებისაგან:

თავმჯდომარე ვ. ზურაბიშვილი

თავმჯდ. ამხანაგი გ. გვაზავა

ხაზინადარი დ. სხირტლაძე

მდივანი იოსებ სარჯველაძე.

წარმომადგენლებად ეროვნულ ცენტრში: ი. ზურაბიშვილი და გ. გვაზავა.

ხელს აწერენ: ე. თაყაიშვილი, ი. ზურაბიშვილი, გ. გვაზავა, პ. თუმანიშვილი, დ. სხირტლაძე, ნ. ჯაყელი, ი. სარჯველაძე, დ. აბხაზი.

* * *

ცხადია, კრებაც, ემოციებიც და კონფლიქტური სიტუაცია ეროვნული პარტიის კომიტეტის წევრის **რეზო გაბაშვილის** განცხადებას და მის მიერ შექმნილ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთულ კომიტეტს მოჰყვა. საგულისხმოა ისიც, რომ ამ კრებას თავად განმცხადებელი და ცხარე მსჯელობის საგანი პერსონალურად არ ესწრებოდა, სავარაუდოა, რომ არც მოუწვევიათ.

არანაკლებ მძაფრი და უარმყოფელი შეფასებები გამოიწვია მისმა მოგონებათა წიგნმა **„რაც მახსოვს“.**

რეზო გაბაშვილის ვაჟმა ბატონმა **გურამ გაბაშვილმა** გვითხრა, რომ სწორედ ამ წიგნის გამოცემის გამო სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს.




თბილისი, 1918 წელი, საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები



**„ამის დამწერი უნდა მოკვდეს!“...** – ამბობდნენ თურმე სოც. დემოკრატიის პარტიის წევრების გარდა სხვა შეურაცხყოფილი პერსონებიც. **„მერე ქაქუცას ბიჭებმა, „შეფიცულებმა“ უთხრეს ნოე ჟორდანიას, თუ რეზო გაბაშვილის თმიდან ერთი ბეწვი მაინც ჩამოვარდება, ცოცხალს არ დაგტოვებთო“... და შეშინდნენ ისინი“...**

მაინც, რა ახსოვდა რეზო გაბაშვილს, რატომ აუჯანყდა მაშინდელი საქართველოც და ქართული ემიგრაციაც?

**„მე, როგორც ყველას, შეიძლება შეცდომა მომივიდეს რაიმეში, მაგრამ საგანს, ფაქტს, მოვლენას, განგებ, რაიმე მოსაზრებით ან შეგნებულად არ გავამრუდებ ერთი იატითაც, არაფერს მოვიგონებ, არ შევთხზავ ხოლმე... სულ სხვაა შეფასება და აქ ობიექტურობა უაზრობას უდრის, ვინაიდან თვით პრინციპი შეფასებისა უაღრესად სუბიექტურია... შემფასებელში ჩანს ფუნქცია ადამიანის თვისებათა ჯამისა: მისი ზნეობის, გონების, რწმენის, ხასიათის, მსოფლმხედველობის და თუ გნებავთ, ზნისაც...“ (რ. გაბაშვილი).**

და მან ზუსტად აღწერა, თუ რა და როგორ ახსოვდა. კრიტიკული შეფასებებიც დაურთო მონარქისტებისა თუ ესდეკების საქმიანობას, რევოლუციების ფონს საქართველოში, დამოუკიდებლობის წლებს... 1921 წლის (მისი აზრით, **წინასწარ წაგებული ბრძოლების**), ტაბახმელისა და სოღანლუღის ფრონტებზე...

თავისი თვალთახედვიდან დახატა საქართველოს მთავრობის და ემიგრაციის სახეები, ამხილა მათი შეცდომები, სიყალბე თუ ზერელობა. ამტკიცებდა, რომ სწორედ დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის კისერზეა ჩვენი სამშობლოს გამოუსწორებელი დამარცხებები. მას ერთნაირად აღშფოთებდა ბოლშევიკებიც და მენშევიკებიც. მათ საერთო იდეოლოგიაზე და მონურ ფსიქიკაზე საუბრობდა.

და რაც ყველაზე მწვავედ დამოიყურებოდა იყო ის, რომ რეზო გაბაშვილი ლაპარაკობდა ოდენ ფაქტებით, რისი თვითმხილველიც თავად გახლდათ და ამ ფაქტების კონსტანტაციას ახდენდა.

რეზო გაბაშვილი ცნობილია, როგორც სრულიად განმარტოებული ადამიანი, რომელიც ემიგრანტთა არც ერთ წრეს არ ცნობდა. სახლიდან თითქმის არ გამოდიოდა და წერდა წიგნებს, გამოკვლევებს, მოგონებებს, რომელთა მხოლოდ ნაწილია ქართველი მკითხველისთვის ცნობილი. მათ შორის, მოგონებათა კრებული **„რაც მახსოვს“**, გამოკვლევა **„ქართველთა წვლილი მსოფლიო ცივილიზაციაში“,** პუბლიკაციები მისი რედაქტორობით გამომავალ ჟურნალში **„კლდე“** და რამდენიმე წერილი ემიგრანტულ პრესაში...

მისი რომანი ისე, როგორც მთელი ლიტერატურული მემკვიდრეობა და საერთოდ, არქივი, დაკარგულია და ვფიქრობთ, უკვე საბოლოოდ მიუგნებელი. ამ ასკეტური ცხოვრების წესის ადამიანს, გარდაცვალების დროს, არ აღმოუჩნდა პატრონი და გულშემატკივარი, რომ რაღაც მაინც შეენახათ და გადაერჩინათ...

რეზო გაბაშვილის ანდერძი წერტილს უსვამს მისი მშფოთვარე ცხოვრების შინაარსს და პიროვნულ კრედოს: 87 წლის ასაკში, საფრანგეთში, გარდაცვალებამდე, დაიბარა: **არ დაეკრძალათ ლევილში, ქართველთა სასაფლაოზე, ვინაიდან იქ მისი სამშობლოს ბევრი მტერი განისვენებდა და მათ გვერდით არ სურდა ყოფნა.**

დაკრძალულია პარიზში, განიოს სასაფლაოზე. იქ არც ერთი მისი თანამემამულე არ ასვენია. იქაც მარტოა. სავარაუდოა, რომ უკვე გაუქმებულია და აქედან გამომდინარე დაკარგულიც მისი საფლავი.

ასეთი იყო რეზო გაბაშვილის სიცოცხლის და სიკვდილის არჩევანი.

**ნინო ხოფერია.**



# „საქართველოს ხმა“ აფხაზეთის გასაგონად



მიხეილ შარვაშიძე

**რადიოჟურნალისტიკა ელექტრონული მედიის განვითარების შემდეგაც თავის პოზიციებს არ თმობს. ალბათ, იმიტომ, რომ რადიოგადაცემების მოსმენისას მნიშვნელოვანია ჩვენი წარმოსახვის უნარი, როცა ასიათასობით მსმენელი მიყურადებულია, რას ამბობს წამყვანი თუ მოწვეული სტუმარი და ხმის ტემბრის მიხედვით, პერსონის გარეგნობასაც წარმოიდგენს...**

ბავშვობიდანვე მაინტერესებდა, ნეტა, რა ხდება რადიომიმღებებს მიღმა, როგორი პიროვნება საუბრობს, საიდან მოდის ეს მაგიური ტალღები... როგორია მთხრობელის სახის გამომეტყველება და კიდევ ათასი კითხვა ებადება რადიომსმენელს.

რამდენიმე დღის წინათ, ერთ წვიმიან საღამოს, რადიოარხმა **„საქართველოს ხმამ“** ჩვენთვის, სტუდენტებისთვის, თავისი შემოქმედებითი სამზარეულოს დაკეტილი კარი გააღო.

„საქართველოს ხმის“ (ხელმძღვანელი **მამუკა კუჭავა**) გადაცემა **„თეატრი სტუდიაში“,** რომელიც ყოველ კვირას, 19 საათიდან 20 საათამდე ღია ეთერშია, იმ დღეს ჩვენი მასპინძელი იყო. **მარკეტინგული და მედიაკომუნიკაციების ინსტიტუტის სტუდენტებს** უფლება მოგვეცა სტუდიაში, პულტების გვერდით, დავსწრებოდით გადაცემის მსვლელობას. ჩვენთვის, მომავალი ჟურნალისტებისთვის, ძალიან მნიშვნელოვანია ადგილზე გავეცნოთ გამოცდილი ჟურნალისტების მუშაობის სტილს. ამ შემთხვევაში კი ე. წ. **„ღია ეთერის“** სპეციფიკას. ვსწავლობდით, როგორ გვარდებოდა ტექნიკური მხარე, ვაკვირდებოდით გადაცემის წამყვანების მზადებას, სტარტს და ეთერის მსვლელობას, იმპროვიზაციის როლს რადიოჟურნალისტიკაში.

იმ დღეს რადიოს ვუსმენდით რადიოში.

გადაცემის საუბრის თემა ამჯერადაც ძალიან საინტერესო იყო: **ჩვენ და აფხაზეთი, როგორც ერთი განუყოფელი მთლიანობა.** გავიგეთ აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის **მიხეილ შარვაშიძის** და მისი ვაჟის მწერალ **გიორგი შარვაშიძის** ცხოვრების ისტორია და ბედი. რადიოეთერში აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის პირდაპირი შთამომავალი ქალბატონი **თათული ღვინიაშვილი** მონაწილეობდა, რომელსაც აქვს ჯერ გამოუქვეყნებელი მონოგრაფია თავისი დიდი წინაპრების ყოფისა და მოღვაწეობის შესახებ. ღია ეთერს უძღვებოდნენ ჟურნალისტი **ნინო ხოფერია** და მსახიობი **ზურაბ ცინცქილაძე.** ჩანაცვლებით ვისმენდით ისტორიულ ექსკურსს, ლიტერატურულ წიაღსვლებს, მოგონებებს, არსებული მდგომარეობის ანალიზს.

**„სხვა გზა არ არის აფხაზეთისთვის, გარდა საქართველოსი“...** – გვესმოდა იმ დიდ აფხაზთა მშვენიერი სიტყვები, რის პარალელურადაც გვახსენებდნენ ჩვენი ეპოქის ყველაზე ღირსსახსოვარ თარიღებს და მოვლენებს.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთის იმპერიამ გააუქმა საქართველოს სამთავროები, ხოლო მთავრები თავიდან მოიცილეს. სიცრუის და ღალატის მსხვერპლი გახდა უკვე ხანდაზმული მიხეილ შარვაშიძე, რომელსაც გემზე ასვლისას მოახსენეს ფოთისკენ მივდივართო. სინამდვილეში კი ნოვოროსიისკის გზას გაუყენეს, შორეულ გადასახლებაში, ქალაქ ვორონეჟში... მან საკუთარ ოჯახთან დამშვიდობებაც ვერ მოასწრო.

თავისი **„სამშობლო ივერიის“** (როგორც თავად უწოდებდა) დიდი პატრიოტი გიორგი შარვაშიძე უარს ამბობს რუსულ ჩინმედლებზე, მათ სამსახურზე.

**სოხუმის ქალაქის თავი ნიკო თავდგირიძე ამბობდა: „გაბედულად შეიძლება ითქვას, რომ გიორგი ერთადერთი გამონაკლისი მაგალითი იყო მთელ ჩვენს მრავალრიცხოვანი მთავრობების მემკვიდრეთა და უმაღლესი არისტოკრატიის წევრთა შორის, რომელმაც ქედი არ მოიხარა, მცირეოდენადაც არ დაიმცირა თავი ერის მჩაგვრელ, თავის ხალხზე გაბატონებულ ძლიერ სახელმწიფოებრივ მმართველობის წინაშე. დანამდვილებით ვიტყვი, რომ ყველა მისი წრის ოჯახობა დიდ ბედნიერებად და საოცნებო ნეტარებად თვლიდა იმ ჯილდო-წარჩინებას, რომელსაც გიორგი ზიზღით უარყოფდა...“**



გიორგი შარვაშიძე, მხატვარი ელდარ ქავშბაია.

**1866 წლის 17 ივლისს, როცა აფხაზეთში აჯანყებამ იფეთქა, წინამძღოლად ჯერ კიდევ ყმაწვილი გიორგი შერვაშიძე აირჩიეს...**

რა მოხდა შემდგომ... ამ და სხვა ამბავთა შესახებ მთელი საათი საუბრობდნენ **„საქართველოს ხმაში“...**

**„ჩვენ სამშობლო ივერიას ყოველგვარი დიდი კულტურული განცდა გამოუვლია,** – კითხულობდა გიორგი შარვაშიძის სიტყვებს მსახიობი ზურაბ ცინცქილაძე, – **მაგრამ ჩვენი წარსული ისეთ ჟამს გაშეშდა, რომ დაგვებნა ბუნებრივი ევოლუციის კანონი... დიაღ, ჩვენ შეგვიძლია თამამად ვთქვათ: იღბალის უკუღმართობას რომ ხელი არ შეეშალა, ევროპის წინათაც ვიქნებოდით – დღეს, ვინაიდან, როდესაც ანდრია მოციქული აქ ქრისტეს მცნებას ქადაგებდა, მაშინ თვით დუკებსაც კამეჩის ტყავი ეცვათ ტანზე და ფეხშიშველა, შუბებით ხელში ნადირობდნენ ტყეებში“...**

სიცოცხლის ბოლომდე იცავდნენ თავისი სამშობლოს – ივერიის ღირსებას აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი და მთავრის ვაჟი...

მრავალმხრივ შთამბეჭდავი იყო იმდღევანდელი რადიოეთერი...

**სტუდიიდან რომ გამოვედით, ისევ წვიმდა...**

**უნებურად გავიფიქრე: ნეტა, აფხაზეთშიც წვიმს?.. ნეტა, მისწვდება საქართველოს ხმა აფხაზეთს „საქართველოს ხმიდან“?..**

**ხატია ცარციძე,**
მარკეტინგისა და მედიაკომუნიკაციების ინსტიტუტის სტუდენტი.



რადიოარხ „საქართველოს ხმის“ სტუდიაში

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველო და მოლდოვა შეშფოთებული არიან იმით, რომ შეიძლება დაკარგონ თავიანთი დამცველები, ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლები

**მოლდოვისა და საქართველოს ოფიციალურ წრეებში შეშფოთება გამოიწვია ხმებმა იმის შესახებ, რომ ევროკავშირი აპირებს, გააუქმოს ამ რეგიონებში თავისი სპეციალური წარმომადგენლების თანამდებობანი**

თუ ეს დადასტურდება, ცხადი გახდება, რომ ევროკავშირის სტრატეგიული ინტერესი კიშინიოვისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისადმი მკვეთრად დაიწევს დაბლა.

ევროკავშირის ოფიციალურ ჩინოვნიკებს, რომლებიც პასუხს აგებენ საგარეო პოლიტიკაზე, თავიანთი შეხვედრების დროს გასულ კვირას ექვსი პოსტსაბჭოთა სახელმწიფოს წარმომადგენლებთან, რომლებმაც ჩამოაყალიბეს თანამეგობრობა „აღმოსავლური პარტნიორობა", გადაკვრითაც არ უხსენებიათ მომავალი ცვლილებების შესაძლებლობა.

პირიქით, სომხეთის, აზერბაიჯანის, საქართველოს, მოლდოვის, უკრაინისა და ბელარუსის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა კიდევ ერთხელ მოისმინეს დაპირება, რომ ევროსაბჭოს აღმოსავლელი მეზობლები ბლოკისთვის რჩებიან „ძირითად პრიორიტეტად".

ამ ქვეყნებმა გაოცებისა და განგაშის შერევით გაიგეს 31 მაისს, რომ ევროსაბჭო აპირებს, გააუქმოს ორი თავისი საკვანძო თანამდებობა რეგიონში.

ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის თანაშემწემ საზღვარგარეთის საკითხებში კეტრინ ეშტონმა 28 მაისს ელჩებს ევროკავშირში განუცხადა, რომ აპირებს, გააუქმოს ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლების თანამდებობა მოლდოვასა და სამხრეთ კავკასიაში.

ასეთ ნაბიჯს შეუძლია მნიშვნელოვნად შეამციროს ევროკავშირის ყოფნა ორივე რეგიონის ტერიტორიაზე, რომელიც პოლიტიკურად არასტაბილურ და დაუცველად ითვლება რუსეთის მზარდი გავრცელების წინაშე.

ევროკავშირისგან არავითარი ოფიციალური განცხადება, ისევე, როგორც არაოფიციალური, მათგან, ვისაც ეს ახალი ამბავი შეეხება, არ ყოფილა: კალმან მიჟეი, სპეციალური წარმომადგენელი მოლდოვაში და პეტერ სემნები, ვისაც ეს პოსტი უკავია სამხრეთ კავკასიაში, არაფერს ამბობენ.



იულიან ფრუნტაშუმ, მოლდოვის პრემიერ-მინისტრის კონსულტანტმა, მოლდოვის რადიოსამსახურს განუცხადა, რომ შეშფოთებულია იმით, თუ როგორ აისახება ეს ნაბიჯი მოლდოვის, როგორც ერთ-ერთი აღმოსავლელი პარტნიორის ინტეგრაციაზე ევროკავშირში.

„მიმაჩნია, ვითარება, რომლის დროსაც მოუწია მუშაობა კალმან მიჟეის, არ ყოფილა საუკეთესო. მაგრამ თავად პოსტი, როგორც მე მიმაჩნია, არ უნდა გაუქმდეს მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ კეტრინ ეშტონს მოუნდა გაამარტივოს ევროკავშირის დიპლომატიური სამსახურის სტრუქტურა, – განაცხადა ფრუნტაშუმ. – ვფიქრობ, რომ ევროსაბჭოს მიერ თავისი მაღალი წარმომადგენლის დანიშვნის ფაქტი ამ ქვეყნებში მოწმობს, რომ მოლდოვა, საქართველო და რეგიონის სხვა ქვეყნები განეკუთვნებიან ევროკავშირის პარტნიორების რიცხვს. უწინარეს ყოვლისა, ჩვენ მოლდოვასთან ერთად დაინტერესებული ვართ აღმოსავლური პარტნიორობით და ამ ინიციატივაში უფრო საინტერესო იქნებოდა, რომ მოლდოვაში დარჩენილიყო ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი".

ეშტონის წერილიდან ჩანს, რომ ევროპული ბლოკი უნდა გათავისუფლდეს დაშორებული თანამდებობებისგან. მაგრამ მოლდოვა და სამხრეთი კავკასია ხომ ევროპასთან უფრო ახლო არიან, ვიდრე ცენტრალური აზია ანდა აფრიკის დიდი ტბების რეგიონი, იქ კი სპეციალური წარმომადგენლების თანამდებობანი შენარჩუნებულია.

ახალი ამბავი მომავალი ცვლილების შესახებ შემოვიდა, როდესაც ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლები შეიკრიბნენ სამიტზე დონის როსტოვში თავის რუს კოლეგებთან ერთად. ეს შეხვედრა განიხილებოდა, როგორც მოსკოვსა და ბრიუსელს შორის მკვეთრი ურთიერთობების შემსუბუქების წინაპირობა.

ეშტონის მიერ შემოთავაზებული გეგმით, თანამდებობა, რომელიც ამჟამად მეჟეის უკავია, გაერთიანდება ევროპის კომისიის წარმომადგენელთა თანამდებობასთან და საბოლოოდ შევა ახალი კონსოლიდირებული დიპლომატიური ორგანოს საშტატო განაწესში, რაზეც ამჟამად მუშაობს ეშტონი.

ანალოგიური ცვლილება შეეხება სომხეთს, აზერბაიჯანსა და საქართველოსაც. ეს ნაბიჯი აღნიშნავს აგრეთვე ევროკავშირის ერთიან მიდგომას სამხრეთ კავკასიისადმი.

მოვლენათა ასეთი შემობრუნება შეიძლება სასარგებლო იყოს მხოლოდ მოსკოვისთვის, რომელსაც ბრალს სდებენ რეგიონალური დავების გამოყენებაში სტრატეგიულად მნიშვნელოვანი დარგის დესტაბილიზაციისთვის.

საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა რეინტეგრაციის საკითხებში თემურ იაკობაშვილმა რადიო „სვობოდნაია ევროპისა" და „სვობოდას" ქართული სამსახურისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ სწამს – ეს გადაწყვეტილება არ არის საბოლოო, თუმცა გამოთქვა შეშფოთება იმასთან დაკავშირებით, რომ ცვლილებანი თანამდებობრივ სტრუქტურაში შეიძლება უარყოფითად აისახოს კონფლიქტის გადაწყვეტაზე ამ დარგში.

„არ აქვს მნიშვნელობა, თუ რა დაერქმევა ახალ თანამდებობას, – განაცხადა იაკობაშვილმა. – მნიშვნელოვანია, თუ ამ დროს როგორ განაწილდება ფუნქციები; მიმაჩნია, რომ სემნების პოსტს, რომელიც მოიცავს მთელს კავკასიას, აქვს დიდი მნიშვნელობა". და დაუმატა: „კონფლიქტი ყოველთვის იქნება. მაგრამ საქართველოსთან დამოკიდებულებაში საქმე გვაქვს უკვე ტერიტორიის ოკუპაციასთან. ამიტომ არის ასეთი მნიშვნელოვანი ფუნქციების განაწილების საკითხი ასეთი თანამდებობებისთვის".

Radio Free Europe
Radio Liberty

# თბილისი და თეირანი

**ვაშინგტონში ბირთვული უშიშროების სამიტის დროს პრეზიდენტ ობამასგან დამამცირებელი გვერდის ავლით და კრემლსა და თეთრ სახლს შორის ურთიერთობათა დათბობით გაბრაზებულმა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა დაიწყო ახალი ეტაპი თავის საგარეო პოლიტიკაში. იმ დებულების საფუძველზე, რომელიც გვარწმუნებს „ჩემი მტრის მტერი – ჩემი მეგობარია"**

ახლა, როდესაც დასავლეთმა ოფიციალურად დაიწყო გაცივება საქართველოს პრეზიდენტის მხარდაჭერაში და უარი განაცხადა თავდაცვის იარაღის მიყიდვაზე, იგი შემობრუნდა ირანისა და სირიისკენ, ამერიკის ორი უბოროტესი მტრისკენ, აყალიბებს ახალ და სახიფათო ალიანსებს.



ობამას ადმინისტრაციის გასალიზიანებლად და კრემლის საპირისპირო მოქმედების მიზნით, სააკაშვილი დადგა თეირანთან მეგობრობის მოპოვებისა და ეკონომიკური მხარდაჭერის გზაზე. სერიოზულია ასეთი პოლიტიკა თუ იგი ბლეფია, ნებისმიერ შემთხვევაში, ეს დაგმობას იმსახურებს.

აი ფაქტები: ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი ივნისში იყო საქართველოში. ამის შემდეგ ელოდებიან ირანის პრეზიდენტის მახმუდ ახმადინეჯადის ვიზიტს საქართველოში სააკაშვილის მოწვევით.

ამას გარდა, ირანს დაგეგმილი აქვს ააშენოს საქართველოში დიდი ელექტროსადგურები და აპირებს მოახდინოს ამ ქვეყნიდან ელექტროობის იმპორტი. თბილისში გამართულ ფორუმზე ირანის ელჩმა საქართველოში მეჯიდ სამაძადე საბერმა განაცხადა: „საქართველოს მთავრობა დადებითად ეკიდება კავშირურთიერთობათა გაუმჯობესებას ჩვენს რეგიონში და მზად ვართ, კვლავაც განვავითაროთ ეს ურთიერთობანი".

ირანი და საქართველო აპირებენ, გააუქმონ საវიზო რეჟიმი ორ ქვეყანას შორის, რაც ქვეყანას, რომელიც კავკასიის ცენტრში მდებარეობს, აქცევს სამოთხედ ტერორისტებისთვის (ამ ნაბიჯის ოფიციალური განმარტებაა – „შესაძლებლობათა გამარტივება ვაჭრობისთვის"ძ. საქართველოს პრემიერ-მინისტრი აპირებს ოფიციალურად ჩავიდეს თეირანში მოლაპარაკების პროცესში, რაც დაიწყო ირანის კონსულატმა შავი ზღვისპირა ქალაქ ბათუმში, რომელიც თურქეთს ესაზღვრება.

ვაშინგტონის მეთვალყურეები ვარაუდობენ, რომ სააკაშვილის მიზანია, მიიპყროს ყურადღება. შემთხვევითი როდია, რომ თეირანი და თბილისი შებრუნდნენ ერთმანეთისკენ სწორედ იმ მომენტში, როდესაც რუსეთმა დაუთმო ამერიკის შეერთებულ შტატებს ირანის ბირთვულ პრობლემაში.

როგორც კი ობამამ და სხვა დიდმა ხელმძღვანელებმა მიიღეს გადაწყვეტილება ახალი სანქციების შესახებ თეირანის წინააღმდეგ, ქართულმა ოპოზიციამ დაიწყო საუბარი იმის შესახებ, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი ჩართულია გარიგებაში ისლამური რესპუბლიკისთვის იარაღის მიყიდვასთან დაკავშირებით.

თუ ზოგიერთი ექსპერტის ეს უკანასკნელი ბრალდება სამართლიანია, მაშინ არ შეიძლება ობამას ლანძღვა იმის გამო, რომ თავის ადმინისტრაციას ის უნარჩუნებს გარკვეულ დისტანციას სააკაშვილთან, ვინც ბუშის მმართველობის დროს კონსერვატორების საყვარელი პიროვნება იყო.

„სააკაშვილი გიჟდება იმის გამო, რომ პრეზიდენტი ობამა არ შეხვდა მას მისი უკანასკნელი ვიზიტის დროს ამერიკაში და გადაწყვიტა დაბრუნებულიყო ამერიკის შეერთებულ შტატებში თეირანთან დამეგობრებით", – აცხადებს ოპოზიციური შრომის პარტიის წევრი. – ის ყიდულობს რაკეტებს უკრაინაში და აგზავნის ირანში".

საქართველოს და ირანის ურთიერთთამაშობანი – არათანაშეზომილი რეაქცია და პირადი სილის გაწნაა ობამასთვის, რაც განსაკუთრებულ სიმპათიას არ იწვევს ქართველ ხალხში. ასეთი საქციელით სააკაშვილი თავის თავს კუთხეში მიიმწყვდევს. ღირს განა ამად უვიზო შესვლა და თავისუფალი ვაჭრობა საქართველოსა და ირანს შორის?

საქართველო უკვე ჩაერთო დავაში რუსეთთან იარაღის შესყიდვის საკითხში უკრაინაში, სამხრეთ ოსეთთან კონფლიქტის დაწყებამდე 2008 წელს. ამჯერად, თუ განცხადებანი სამართლიანი აღმოჩნდება, თბილისი დაკარგავს დასავლეთის მხარდაჭერასაც.

ამას წინათ გაიმართა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის გრიგოლ ვაშაძის შეხვედრა სირიის პრეზიდენტთან ვაშარ-ალ-ასადთან ორმხრივი თანამშრომლობის საკითხების განხილვისთვის, განსაკუთრებით ეკონომიკისა და ტურიზმის დარგში.

ახალი ამბების სირიის არაბული სააგენტოს მონაცემებით, სირიის მინისტრმა აღნიშნა, რომ სირიის მთავრობის ზოგიერთ მინისტრს განზრახული აქვს, ხელი მოაწეროს ანალოგიურ შეთანხმებას საქართველოს მხარესთან „ეკონომიკის დარგში სირიასა და საქართველოს შორის კეთილი და კონსტრუქციული ურთიერთობის ასაშენებლად".

სხვა ახალი ამბავი თბილისიდან: საქართველოს პრეზიდენტმა ახლახან 56 მილიონი დახარჯა სახელმწიფო ბიუჯეტიდან კერძო თვითმფრინავზე. საინტერესო დეტალი კიდევ აპრგეილინგიდან, რაზეც დაიხარჯა კიდევ 7 ათასი დოლარი: თვითმფრინავს ექნება პირადი „კატაპულტი" სააკაშვილისთვის. ეტყობა, მას იმედი აქვს რომ, როდესაც დაიწყება მღელვარება, ის აღმოჩნდება თეირანის ან დამასკოს თავზე.

National Interest

## დედამიწის ზურგზე



**ყაზახეთის პრეზიდენტმა ნაზარბაევმა უარი განაცხადა, გახდეს „ერის ლიდერი": უფლებამოსილებებს ის ისედაც მოიპოვებს, რამდენიც უნდა**

„თუ მომავალში წარმოიქმნება რაიმე საფრთხე ქვეყნის განვითარების და მისი მოქალაქეების უშიშროების წინააღმდეგ, ტერიტორიული მთლიანობის და ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ, მე თავად მოვითხოვ დამატებით უფლებამოსილებებს და, დარწმუნებული ვარ, მივიღებ მათ", – ნათქვამია ნაზარბაევის მიმართვაში. პარლამენტი დაეთანხმა პრეზიდენტის „კეთილშობილურ საქციელს".

* * *

**იაპონიის მთავრობის ახალი მეთაური გახდა ამჟამინდელი ფინანსთა მინისტრი ნაოტო კანი**

63 წლის კანს ხმა მისცა პარლამენტის მმართველი – დემოკრატიული პარტიის დეპუტატების უმრავლესობამ. ამ პარტიას ქვედა პალატაში აქვს მყარი უმრავლესობა, რაც გადამწყვეტ როლს ასრულებს პრემიერ-მინისტრის არჩევის დროს.



* * *

**თეთრმა სახლმა მექსიკის ყურეში მომხდარი კატასტროფისთვის 69 მილიონი დოლარი გაიღო**

ეს სახსრები დაიხარჯება ავარიის შედეგების თავიდან ასაცილებლად. შემდეგი ხარჯები დაიფარება ნავთობის კომპანიის ბიუჯეტიდან და ეს ანგარიში არ იქნება ერთადერთი, – აღნიშნავენ თეთრ სახლში.

* * *

**ისრაელმა უარყო გაეროს მოთხოვნა: ბლოკადა დარჩება, გამოკვლევას თავად წარმართავს**

ისრაელის პრემიერმა განაცხადა, რომ გემი „რეჩელ კორი" ასევე გაიგზავნება ისრაელის ნავსადგურში შესამოწმებლად. „ჩვენ ნებას არ მივცემთ გემებს, შევიდნენ ღაზაში. არც ახლა, არც მოგვიანებით", – განაცხადა მან. ისრაელმა უარი განაცხადა გაეროს მოთხოვნაზე, მოეწყოს საერთაშორისო გამოკვლევა. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მხარი დაუჭირა იერუსალიმს.

* * *

**ჩინეთმა შექმნა გამანადგურებელ სუ-33-ის „მეკობრული" ასლი, ამოიცნო რუსეთის საიდუმლო ტექნოლოგიები**

სუ-33-ის ანალოგი დაამუშავეს საბჭოთა თვითმფრინავის საფუძველზე, რომელიც ჩინეთმა უკრაინისგან მიიღო. ჯერჯერობით უცნობია, შეასრულეს თუ არა ჩინელმა მფრინავებმა საცდელი ფრენები ახალ გამანადგურებელზე. ადრე მოსკოვმა უარი განაცხადა ჩინეთისთვის თავისი სუ-33 მიყიდვაზე ტექნოლოგიის გადინების საფრთხის შიშით.



◎ მოულოდნელი რაკურსით

# ...რომ არ იყო დაჩაგრული

## ფული უპირველესი ფსიქოთერაპევტია!

**საყოველთაოდ ცნობილია, რომ ფსიქოთერაპიას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თითოეული ჩვენგანის ოპტიმისტური განწყობის შექმნაში, მრავალი სომატური და ფსიქიკური დაავადების, დედამიწაზე ასე გავრცელებული ნევროზების სამკურნალოდ. მაგრამ არსად არ არის მითითებული, თუ რა როლი ენიჭება ადამიანის სულიერი ამაღლებისა და სიჯანსაღის გლობალური პრობლემების მოწესრიგების საქმეში ეკონომიკურ კეთილდღეობას და კონკრეტულად ფულს.**

ამ საკითხს ჩვენში ტაბუ ჰქონდა დადებული, ფული „ხელის ჭუჭყად“ და ლამის ნეხვად იყო მოხსენიებული, ხოლო მდიდარი ადამიანი — წურბელად, ხალხის მტრად და ბოროტმოქმედად! არადა, სიღატაკე რომ ადამიანს აავადებს, ცვლის მისი ცხოვრების ყოველ ნიუანსს და იწვევს სულიერ და ფიზიკურ დეგრადაციას, ყველასთვის ნათელია.

დღეს მხოლოდ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის განმარტებით შემოვიფარგლებით: **„ჯანმრთელია ადამიანი, თუ ის ფიზიკურად და სულიერად ჯანსაღია და ეკონომიკურად უზრუნველყოფილი!“** აქედან, მარტივი დასკვნა: უფულო ადამიანი ავადმყოფია, ხოლო თუ ადამიანთა უმრავლესობა სიღარიბეში ცხოვრობს, მთელი ერი ითვლება ავადმყოფად. ასეთი საზოგადოება გულგრილი, ადვილად სამართავი და საცოდავია. მას მომავალი უპერსპექტივოდ ეჩვენება და ჩაფლულია ნიჰილიზმის ჭაობში. საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოდიან ე. წ. რევოლუციონერები, რომლებსაც სურთ გარდაქმნან ცხოვრება. მსგავსი მაგალითები მრავლად იცის კაცობრიობის ისტორიამ. კაცობრიობის ისტორია ხომ ადამიანთა დაპირისპირებების, ომებისა და სისხლისღვრების ისტორიაა. ეს სამწუხარო რეალობაა.

არის თუ არა ყოველივე ამის მიზეზი ეკონომიკური სიდუხჭირე?

ჩვენი ინსტიტუტის სამედიცინო ფსიქოლოგიის განყოფილების თანამშრომლები დავინტერესდით პრობლემით, თუ როგორია სტუდენტთა და საზოგადოების წარმომადგენელთა აზრი უფულობით გამოწვეულ ფსიქოსომატური დაავადებების განვითარებასთან დაკავშირებით და მათ მხოლოდ ერთი შეკითხვით მივმართეთ: რამ შეიძლება ადამიანები დაააავადოს ყველაზე მეტად როგორც მორალურად, ისე ფსიქიკურად? რესპონდენტებს შევთავაზეთ გარკვეული ჩამონათვალი, მათ შორის სამედიცინო ხასიათისა. რესპონდენტთა 85 პროცენტმა ადამიანთა ფსიქოსომატური დაავადებების უპირველეს მიზეზად უფულობა დაასახელა. ეკონომიკური სიდუხჭირე, სიღარიბე და სიღატაკეა ადამიანთა დამთრგუნველი, დეპრესიის და გულგრილობის გამომწვევი, მაშასადამე — ქვეყნის დესტაბილიზაციის უპირველესი მიზეზი. გამოკითხულთა აზრით, შეუძლებელია მაღალი იდეებით ცხოვრება, უფასურდება სიყვარული, იკარგება სათნოება, თუ ადამიანების ეკონომიკური კეთილდღეობა არ არის უზრუნველყოფილი. უფულობა ანგრევს ოჯახებს, ასახიჩრებს ბავშვების სულიერებას, გზას უხსნის ავაზაკობას, აგრესიას, ყოველგვარ სისასტიკეს. სტუდენტების აზრით ვერც ფროიდის ფსიქოანალიზი, ვერც დიუბუას რაციონალური ან ჰუმანისტური, ვერც როჯერსის ადამიანზე კონცენტრირებული ფსიქოთერაპია ვერ მიაღწევენ განმკურნებელ შედეგს, თუ ადამიანს არ გააჩნია საჭირო საარსებო საშუალებები. ასეთ ვითარებაში ყოველგვარ ფსიქოთერაპიას უკურეაქციის გამოწვევაც შეუძლია.

ასეთია სამედიცინო ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტთა აზრი. მაგრამ ისმის კითხვა: როგორ უნდა მიაღწიონ ადამიანებმა ეკონომიკურ უზრუნველყოფას, როგორ აქციონ თავიანთი ცოდნა ფულად? სტუდენტთა 92 პროცენტმა ასე უპასუხა: **საჭიროა სპეციალური ცოდნა და ნაყოფიერი შრომა, სახელმწიფომ კი უნდა უზრუნველყოს ადამიანთა დასაქმება და მათი კარგი ანაზღაურება. მაღალი ხელფასები მხოლოდ ჩინოვნიკებს კი არ უნდა ჰქონდეთ, არამედ საშუალო ფენის წარმომადგენლებსაც.** მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს პენსიები. სამარცხვინოა, როცა პროფესორმასწავლებლებს, აკადემიკოსებს, მრავალჭირგადანახად ვეტერანებს ასლარიანი პენსიები აქვთ. მინიმალური პენსია 300 ლარი მაინც უნდა იყოს, მაქსიმალური — არანაკლებ 500 ლარისა. ჩინოვნიკებს უნდა ჩამოეჭრათ დიდი ხელფასები და პრემიები, უნდა შეიზღუდოს არამიზნობრივი ხარჯები და ბიუჯეტის განუკითხავი ფლანგვა, დროა, ქონება თანამოქალაქეებზე კანონიერად გადავანაწილოთ! ყოველმა ახალგაზრდამ უნდა ისწავლოს ნაყოფიერი შრომა და გარჯა, რაც წარმატების საწინდარია, თუ საზოგადოება და მთავრობა ერთიანი იქნება, თუ „ადამიანი — სახელმწიფოს“ ერთიანი ცნება შეიქმნება, წარმატებაც ნელ-ნელა მოვა.

ყველა რესპონდენტი თითქმის ერთი აზრისაა: საჭიროა ახლებური, მასშტაბური, სახელმწიფოებრივი აზროვნება და ხედვა, რაც სპეციალურ ცოდნასთან ერთად შექმნის მომავალი ბედნიერი ცხოვრების გარანტიას.



**მამია მდინარაძე,**
**მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ფსიქოთერაპიის მოდულის ხელმძღვანელი.**

◎ სამშენებლო ინდუსტრია

***თანამედროვე სამშენებლო ტექნოლოგიებში გამოყენებულ მასალათა შორის მინის, ალუმინისა და რკინის კონსტრუქციებს, ასევე, რაღა თქმა უნდა, სხვადასხვა მარკის ბეტონს ლომის წილი უკავიათ. მაღალხარისხიანი ბეტონის წარმოება და, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, სამშენებლო მოედნებზე მათი თხევად მდგომარეობაში მიწოდება ყოველთვის ერთგვარად საფრთხილო საკითხი იყო, რომლის გადაწყვეტის რამდენიმე ხერხს მიმართავდნენ. კერძოდ, დიდ მშენებლობებთან ბეტონის მინიქარხნებს აგებენ, სხვა მშენებლობებამდე მისატანად საგანგებო მანქანებს იყენებენ, რომელთა რეზერვუარები ტრიალებენ და ბეტონის მასას გამაგრების საშუალებას არ აძლევენ, თანაც ეს მანქანები სამშენებლო მოედნებზე მტკიცე გრაფიკით მიდიან და ა.შ. აქედან გამომდინარე, ბეტონის წარმოებას ინტენსიური მშენებლობის პირობებში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, ხოლო როცა საქმეს ხელს ჰკიდებს მსოფლიო სახელის მქონე სპეციალიზებული ფირმა, ეს კიდევ უფრო წარმატებული მუშაობის საწინდრად შეიძლება განვიხილოთ.***

# მეორე და... სხვა მრავალი

ამდენად, როცა საქართველოში პირველად საქვეყნოდ ცნობილი ფირმის „ჰაიდელბერგ ცემენტის“ შვილეულმა „ჰაიდელბერგბეტონ ჯორჯიამ“ ბეტონის გადამუშავებისა და გათბობის თანამედროვე ტექნოლოგიების სისტემების გამოყენება დაიწყო, ეს სამშენებლო ტექნოლოგიების გამოყენების გზაზე, უდავოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო. მარტო მშენებლებისთვის კი არა, საქმეში ჩაუხედავი კაცისთვისაც კი ზამთრის დაბალი ტემპერატურის პირობებში ბეტონის წარმოება და სამშენებლო მოედანზე მისი საჭირო კონდიციით მიწოდება საგრძნობი ტექნოლოგიური გარღვევაა.

ახლახან „ჰაიდელბერგბეტონ ჯორჯიამ“ საქართველოში თავისი რიგით მეორე ქარხანა აამუშავა გლდანში. ისევე, როგორც მანამდე ფონიჭალაში მოქმედი ქარხანა, ისიც გამოირჩევა თანამედროვე ტექნოლოგიური აღჭურვით და მომსახურების ფართო სპექტრით, მისი ათი ბეტონმზიდი მანქანა კი მშენებლობებს ბეტონს როგორც დედაქალაქში, ასევე მის შემოგარენში მიაწვდის. გარდა ამისა, მშენებლებს მოემსახურება ფირმა „მერსედესის“ მიერ წარმოებული ორი ბეტონის ტუმბო, აგრეთვე სტაციონარული და მობილური ლაბორატორიები.

მთლიანად „ჰაიდელბერგცემენტმა“ საქართველოში ბეტონის წარმოებაში ოთხი მილიონი ევროს ოდენობის ინვესტიცია ჩადო, რომელიც მიზნობრივად „ჰაიდელბერგბეტონ ჯორჯიას“ ორი ბეტონის ქარხნის ასაშენებლად იყო გამიზნული. შერეული კომპანიის პირველმა ქარხანამ ფონიჭალის დასახლებაში მუშაობა ზუსტად ერთი წლის წინათ დაიწყო. აღსანიშნავია, რომ ამ სასიკეთო საქმეს მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებამ კომპანიისთვის დამატებული ღირებულების გადასახადის გამარტივებული წესით დაბრუნების თაობაზე. ზოგადად კი ამ სახელისუფლებო ინიციატივის მიზანია კერძო სექტორის უფრო მძლავრი სტიმულირება და, ზოგადად, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება.

◎ ინფორმაცია თემაში

*„ჰაიდელბერგცემენტმა“ საქართველოში საქმიანი მოღვაწეობა 2006 წელს დაიწყო. ფირმის მიერ კავკასიაში განხორციელებული პირველი ინვესტიცია შპს „ქართული ცემენტის“ აქციების საკონტროლო პაკეტის (51 პროცენტის) შეძენა იყო. ცოტა ხანში კომპანიამ ასევე კავკასიაში ცემენტის ყველაზე მსხვილი მწარმოებლის — „საქცემენტის“ აქციების სამი მეოთხედი იყიდა. 2008 წლიდან მოყოლებული, „ჰაიდელბერგცემენტმა“ საქართველოში ბეტონის წარმოებასაც მიჰყო ხელი, სადღეისოდ კი იგი ქვეყანაში ცემენტის სამი და ორი ბეტონის ქარხნის პატრონია. მათ შორის ორივე ბეტონის ქარხნის მთლიანი წარმოება საათში 160 კუბური მეტრი ბეტონია.*



**ოთარ ტურაბელიძე**

◎ ინფორმაცია

### კვიწიას კაციაც მიაყოლეს

**ხუთშაბათს აფხაზ სეპარატისტთა ადმინისტრაციის წარმომადგენელი, სოფელ რეფის გამგებელი დიმიტრი კაცია მოკლეს. იგი საკუთარ მანქანაში ჩაცხრილეს. დაიჭრა კიდევ ერთი ადამიანი, რომელიც სოხუმშია გადაყვანილი.**

**სროლა სოფელ რეფში შუაღამის სამი საათისათვის დაიწყო, მიზეზი კი გავრცელებული ინფორმაციით, მოსახლეობიდან ამოღებული თანხაა.**

**სავარაუდოდ უკმაყოფილება მის განაწილებას მოყვა. როგორც აცხადებენ, ეს არის გაგრძელება ორი დღის წინათ მომხდარი ინციდენტისა, რა დროსაც დიხაზურგაში აფხაზ სეპარატისტთა საბაჟოს უფროსი გენადი კვიწია მოკლეს. იგი გალის ზონას აკონტროლებდა.**

**— ისინი იყოფდნენ ადგილობრივი მოსახლეობიდან ამოღებულ თანხას. ამას სროლა მოყვა და მოყვა მსხვერპლი. გარდაცვლილია დიმა კაცია, რომელიც გამოირჩეოდა განსაკუთრებული სისასტიკით ქართველების მიმართ. ის ხელმძღვანელობდა ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ გატარებულ რამდენიმე სადამსჯელო ოპერაციას. დიმა კაცია ადგილზე გარდაიცვალა. სროლის შედეგად არიან დაჭრილები, რომლებიც საავადმყოფოში არიან გადაყვანილნი, — აცხადებს აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის გალის მიმართულების კოორდინატორი თორნიკე კილანავა.**



### საქონელი ოკუპირებულ ტერიტორიას ვერ ცნობს

**რუსმა ოკუპანტებმა სოფელ კარბალის მკვიდრი დააკავეს. შემთხვევა ხუთშაბათ საღამოს მოხდა. დიმიტრი და ნუგზარ თაყაძეები საქონელს მწყემსავდნენ, რა დროსაც პირუტყვმა ე.წ. სამხრეთ ოსეთის ოკუპირებული ტერიტორიისაკენ გადაინაცვლა. თაყაძეები საქონლის შემობრუნებას შეეცადნენ, თუმცა მათ რუსი ოკუპანტი მესაზღვრეები შეხვდნენ.**

**მათ თავიდან ორივე დააკავეს, თუმცა მოგვიანებით დიმიტრი გაათავისუფლეს, ნუგზარ თაყაძე კი ოკუპირებულ ტერიტორიაზე გადაიყვანეს.**

**ადგილობრივების თქმით, ასეთი ფაქტების გამო მათ უჭირთ საქონლის მწყემსვა და მიწის დამუშავება.**

ჯი-ეიჩ-ენი

მადლი ჰქენი...

# როცა კაცი კაცად რჩება

**აქამდე მეგონა, რომ კარგად ვიცნობდი საქართველოს ახლახან დასრულებული ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის მესამე პრიზიორის, ახლო წარსულში ქვეყნის ნაკრების საბაზო კლუბის „ზესტაფონის“ პრეზიდენტს ილია კოკაიას. თურმე ვცდებოდი – კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ადამიანის შესაცნობად მასთან ერთად ერთი ფუთი მარილის შეჭმაა საჭირო.**



ბატონი ილია ფიფას პირველი ქართველი ლიცენზირებული აგენტი და ფეხბურთის ფედერაციის პირველი პრეზიდენტის – დიდი ნოდარ ახალკაცის ერთგული თანამებრძოლი იყო. „ფარსადანოვიჩის“ მშობლიურის დარ ამაგს იგი, როგორც ჭეშმარიტ მამულიშვილს შეშვენის, მის ოჯახზე უანგარო ზრუნვით იხდის, რაც, სხვათა შორის, უმცროსი ნოდარ ახალკაცის 2007 წლის სფფ-ის პრეზიდენტის წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსებაშიც გამოიხატა.

ბევრი, ალბათ, იკითხავს – რა გასაკვირია კოკაიას ასეთი საქციელიო. მათ გასაგონად ვიტყვით – განა ცოტაა ჩვენს გვერდით ისეთი გაბიზნესმენებული „ახალი ქართველი“, ვინც ფეხზე დამყენებელთა ზრუნვა დაივიწყა და თითოეულის წამკვრელები მხოლოდ სადღეგრძელოების მგზნებარედ წარმოთქმისას ახსენდება?

ამ წერილის დაწერა სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2“-ის საავტორო გადაცემა „პროფილის“ ერთ-ერთმა სიუჟეტმა მიკარნახა, საიდანაც შევიტყვეთ, რომ საქმიანი სამყაროს ერთადერთი წარმომადგენელი, რომელმაც გულთან ახლოს მიიტანა შარშან თურქეთში მომხდარი საშინელი ავტოკატასტროფის დროს დაინვალიდებული გოგონას ციცი ყალაბეგაშვილის პირადი ტრაგედია და სოლიდური თანხით დააფინანსა ჯერ მისი უცხოური ოპერაცია, ხოლო შემდეგ – პროთეზირება, სწორედ ზესტაფონელთა თავკაცი ყოფილა.

აი, ახლა კი თამამად შემიძლია ვთქვა, რომ კარგად ვიცნობ ბატონ ილია კოკაიას.

**გია პლატონიშვილი**

ჩოგბურთი

# შერისხული ელენეები





**„როლან გაროსის“ ქალთა ტურნირს წლეულს ახალი გამარჯვებული ეყოლება, რადგან ავსტრალიელმა სამანტა სტოსურმა და იტალიელმა ფრანჩესკა სკიავონემ პირველად მოიპოვეს ასეთი პრესტიჟული ასპარეზობის ფინალში თამაშის უფლება. მათი გადამწყვეტი რაუნდი პარიზის ფილიპ შატრიეს სახელობის კორტზე დღეს 16 საათზე დაიწყება.**

აღსანიშნავია, რომ ნახევარფინალში ორივემ სეხნია ელენეები დაამარცხა, რაც იშვიათი შემთხვევაა (გნებავთ – დამთხვევაძ.

განსაკუთრებით გაუჭირდა სანუკვარი მიზნის მიღწევა 29 წლის აპენინელ ვეტერანს, რომელმაც რუს ლამაზმან დემენტიევას პირველი სეტი ტაიბრეიქზე მოუგო – 7:6, ხოლო ამის შემდეგ მისმა მეტოქემ ფეხის ტრავმის გამო ბრძოლის გაგრძელება ვეღარ შეძლო. როგორც მოგვიანებით გაირკვა, აქამდე ოლიმპიურ ჩემპიონს ამავე მიზეზით მთელი დისტანცია გამაყუჩებელი ნემსების გამოყენებით გაუვლია, თუმცა ამჯერად მედიცინაც უძლური აღმოჩნდა.

რაც შეეხება „მწვანე კონტინენტის“ ქვეშევრდომ მსოფლიოს მე-7 ჩოგანს, მან უპრობლემოდ დაძლია სერბი იანკოვიჩის წინაღობა – 6:1, 6:2 და დღევანდელი დუელის შედეგის მიუხედავად, კიდევ უფრო დაწინაურდება პროფესიონალთა რეიტინგში.

თაობა

# მამა ნახე, ბიძა ნახე...

**ეს ხმელ-ხმელი ყმაწვილი თელავის რაიონის სოფელ ფშაველის საჯარო სკოლის მეექვსეკლასელი დათო რამაზაშვილია, რომელსაც წინაპართაგან მოსდგამს მკლავის ძალა და მუხლის სიმარდე.**

გემახსოვრებათ, როცა ამ საუკუნის დასაწყისში პანკისის ხეობაში რუსეთიდან შემოგზავნილი სპეცსამსახურების წარმომადგენლები ადგილობრივ ჩეჩენ და ქისტ კრიმინალებთან გაერთიანდნენ და ვითარება უმართავი ხდებოდა, ვნებათა დაცხრომაში დიდი წვლილი შეიტანა სტორის ხეობის მკვიდრმა, ახლო წარსულში სწორუპოვარმა ფალავანმა ლუკა რამაზაშვილმა, რომლის რაზმსაც ამერ-იმერის სხვადასხვა რეგიონის არაერთი გულანთებული პატრიოტი ამშვენებდა. აი, სწორედ ასეთი ღირსეული მამის ღირსეული შვილი გახლავთ დათო, რომლის საოჯახო სპორტული ტრადიციებისადმი ერთგულება ბიძის – ერთ დროს საბჭოთა კავშირის თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრების წევრის ლადო მჭედლიშვილის სახელსაც უკავშირდება.



უმცროსი ასაკის ჭაბუკ ძიუდოისტთა ეროვნული პირველობების არაერთგზის გამარჯვებული, ქართველი ოლიმპიური ჩემპიონებისადმი მიძღვნილი ტურნირის პირველი ადგილის მფლობელი, ბორჯომის საგაზაფხულო ტრადიციული ასპარეზობის ოქროს მედალოსანი უნივერსალიზმითაც გამოირჩევა. დასტურად ტატამთან ერთად მის მიერ თანატოლთა შორის საქართველოს პირადი პირველობის ხალიჩაზე მოპოვებული უმაღლესი ხარისხის ჯილდოც გამოდგება.

ვიმედოვნებთ, ძლევამოსილი ჩემპიონის მომავალ წარმატებათა შესახებ კიდევ არაერთხელ მოგიწევთ ინფორმაციების წაკითხვა.

ფეხბურთი

# გენერალური რეპეტიციები

**მოახლოებული „მუნდიალის“ წინ მისი ფავორიტები უკანასკნელ სპარინგებს მართავენ, თუმცა ზოგი ნახევარი ძალით ბურთაობს, ზოგის მწვრთნელიც თავს მისი გუნდის ლიდერთა დასვენების უფლებას აძლევს მომქანცველი საკლუბო სეზონის შემდეგ. დაგვეთანხმებით, ძნელია მათი გამტყუნება – წინ ხომ ეგზოტიკური აფრიკის სტადიონებზე მოსაწყობი ერთთვიანი მარათონია, რომელიც, კაცმა არ იცის, როგორ სიურპრიზებს უმზადებს მის მონაწილეებს.**



**გაუწყებთ რამდენიმე საინტერესო სარეპეტიციო შეხვედრის შედეგს:** ზიმბაბვე – ბრაზილია – 0:3 (ბასტოსი, რობინიო, ელანოძ, ესპანეთი – სამხრეთ კორეა 1:0 (ნავასიძ, გერმანია – ბოსნია 3:1 („დუბლი“ შეასრულა შვაინშტაიგერმაძ, იტალია – მექსიკა 1:2, ჰოლანდია – განა 4:1 (კუიტი, ვან დერ ვაარტი, სნაიდერი, ვან პერსი; გიანიძ, ინგლისი – იაპონია 2:1.

ინტერნეტიდან

## ვიდრე შეტევაზე გადავიდოდნენ

**ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის დაწყების წინ მისმა მონაწილე გუნდებმა ტრადიციულად განსაზღვრეს თავიანთი დევიზები, რამაც მათ გამარჯვებისკენ უნდა უბიძგოს.**



**აი, რა წარწერებით აპირებენ ისინი მუნდიალზე თავიანთი ავტობუსების დამშვენებას:**

**სლოვენია** – „თერთმეტი მამაცი გული – ბოლომდე!“

**ინგლისი** – „სიამაყით და სახელოვნად!“

**ალჟირი** – „ვარსკვლავს და ნახევარმთვარეს ერთი მიზანი აქვს – გამარჯვება!“

**აშშ** – „სიცოცხლე, თავისუფლება და გამარჯვების წყურვილი!“

**არგენტინა** – „ბოლო გაჩერება – დიდება!“

**ბრაზილია** – „მთელი ბრაზილია აქაა!“

**საფრანგეთი** – „ყველა ერთად ახალი „ლურჯი“ ოცნებისკენ!“

**განა** – „აფრიკის იმედი!“

**ჰონდურასი** – „ერთი ქვეყანა, ერთი ვნება, ხუთი ვარსკვლავი გულში!“

**იტალია** – „ჩვენი ლურჯი ცა – აფრიკაზე!“

**იაპონია** – „სამურაის სული არასოდეს მოკვდება! გამარჯვება იაპონიისთვის!“

**სამხრეთ აფრიკა** – „ერთი ნაცია ამაყად გაერთიანებული ერთი ცისარტყელის ქვეშ!“

**კამერუნი** – „მოუთვინიერებელი ლომები ბრუნდებიან!“

**გერმანია** – „გზად მსოფლიო თასისკენ!“

**მექსიკა** – „დადგა ახალი ჩემპიონების საათი!“

**ახალი ზელანდია** – „ვითამაშებთ კივის სტილში!“

**პორტუგალია** – „ერთი ოცნება, ერთი მიზანი – პორტუგალია ჩემპიონია!“

**კოტ-დივუარი** – „სპილოებო, იბრძოლეთ გამარჯვებისთვის!“

**ესპანეთი** – „იმედი – ჩემი გზა, გამარჯვება – ჩემი ბედი!“

**11 ივნისს უკვე შეგვიძლია შევძახოთ, „ა, ბურთი და ა, მოედანი!**

**ღმერთმა ხელი მოგიმართოთ!“**

## პლეიბოისთვის – ნახევარი მილიონი

**მსახიობი ქალი კელი ბრუკი, 22 წლის მორაგბე დენი ჩიპრიანის რომ დაუმეგობრდა, მიიღებს ნახევარ მილიონ დოლარს (340 ათასი ევროძ „პლეიბოისთვის“ გადაღებაში.**



„ეს მშვენიერი შესაძლებლობაა კელისთვის, რომელიც უეჭველად ითვლება ყველაზე მშვენიერ ქალად ამ ქვეყანაზე, – აცხადებს გაზეთის The Sun ერთ-ერთი წყარო, – ეს ჟურნალი ხომ მთელ მსოფლიოში ცნობილია, მისგან მიპატიჟება დიდი პატივია“.

ლამაზმანი ბრუკი ჟურნალის ფურცლებზე სექტემბერში ან ოქტომბერში გამოჩნდება.

კალათბურთი

## შეაჩერეთ კობი!

**კალათბურთის ეროვნული ასოციაციის (ნბაძ ფინალური მატჩების სერია პროგნოზების შესაბამისად დაიწყო.**



ფავორიტად შერაცხილმა „ლოს-ანჟელეს ლეიკერზმა“ საკუთარ დარბაზში 102:89 მოუგო „ბოსტონ სელტიქსს“ და სერიაში, რომელიც 4 გამარჯვებამდე გაგრძელდება, 1:0 დაწინაურდა. მასპინძელთა ლიდერი კობი ბრაიანტი პარტნიორებს 30 ქულით შეეწია.

დღეს მეტოქეთა მეორე შეხვედრაც კალიფორნიაში გაიმართება.

ჯანმრთელობა

# დედამიწაზე სად უკეთესია ცხოვრება?



**საშუალო ტემპერატურის ცვალებადობა 50 წლის პერიოდულობით ხდება: ბებია, რომელიც 49 წლის აუტანელი ზამთრის შესახებ ყვებოდა, არ აჭარბებდა. 60-იანი წლების დასაწყისიდან დაიწყო უკუპროცესი – დაიწყო დათბობა. მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ეს „ქანაობა" აისახება არა მხოლოდ ადამიანის განწყობილებაზე, არამედ მათი შემოქმედების უნარზეც.** ამ თეორიის დადასტურება შეიძლება მოვნახოთ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ვ.მ.პეტროვის ნაშრომში ლიტერატურული ცხოვრების პულსირებულ ხასიათზე. გახსოვთ ძველი დავები ლირიკოსებისა და ფიზიკოსების შესახებ? დიახ, სწორედ ეს გმირები ცვლიან ადგილებს ერთხელ ორმოცდაათი წლის განმავლობაში: ხან ერთნი არიან პატივში, ხან მეორენი. და დაახლოებით ნახევარ საუკუნეში საზოგადოებაში დომინირებენ მარჯვენა ნახევარსფეროელები და ხელოვნება, მეორე ნახევარში – მარცხენა ნახევარსფეროელები და მკაცრი გაანგარიშება. პოეტები „ყვავიან" უფრო ცივ დროს, ფიზიკოსებს კი სითბო სჭირდებათ. იქნებ ეთიოპიის ეროვნული პოეტი ალექსანდრე პუშკინი ერთ სტრიქონსაც ვერ დაწერდა, ცივ მოსკოვში რომ არ დაბადებულიყო.

მეცნიერებს აქვთ არა მხოლოდ ჰიპოთეზები, არამედ შემოწმებული ფაქტები ზოგიერთ ციკლურ კანონზომიერებებთან დაკავშირებით. ცნობილია, რომ შიზოფრენიით ავადმყოფები მგრძნობიარედ რეაგირებენ მთვარის მოქცევა-უკუქცევის ფაზებზე: გამწვავებანი მათ უჩნდებათ დაახლოებით 13 პერიოდულობით წელიწადში. გულით ავადმყოფები მგრძნობიარენი არიან მზიური აქტიურობის პერიოდისადმი. აი ალკოჰოლიზმით დაავადებულებს აქვთ თავიანთი ციკლი: ალკოჰოლური ფსიქოზების პიკი ყველაზე ხშირად მოდის ზაფხულის ცხელ დღეებზე. მეცნიერები ამ მოვლენის მთავარ დამნაშავედ მიიჩნევენ ზაფხულის ჰაერს, რომელშიც შემცირებულია ჟანგბადის შემცველობა. გარდა გაფრთხილებისა – „არ დალიოთ ზაფხულში!" მეცნიერები სამომავლოდ არადამაიმედებელ პროგნოზს იძლევიან: მსმელებისთვის გლობალური დათბობა რისკის დამატებითი ფაქტორი გახდება...

### სეზონის ქიმია

**ზამთრობით ჩვენ სხვანაირები ვართ, გაზაფხულობით – სხვანაირები. აკადემიკოსებმა ნ.ა.აგაჯანიანმა და ა.ვ.სკალნიმ აწარმოეს მასშტაბური გამოკვლევა და აღმოაჩინეს, რომ ადამიანის ორგანიზმში მიკროელემენტების შეფარდება იცვლება სეზონიდან სეზონში. ამის დადასტურება მოხერხდა თმების ანალიზის წყალობით: ექსპერიმენტის მსვლელობის დროს „გაკრიჭეს" 3-6 წლის 1800 ბავშვი და 26-35 წლის 3000 ქალი. თმების ელემენტარულმა შემადგენლობამ ასახა ორგანიზმში მნიშვნელოვანი მიკრო და მაკროელემენტების სეზონური შემოსვლის თავისებურებანი.**



მაგალითად, ზამთრისთვის კალციუმის შემცველობა მცირდება და მაქსიმუმს კი აღწევს ზაფხულში. ასეთი დინამიკა დაკავშირებულია იმასთან, რომ თბილ დროს პარაფარისებრივი ჯირკვლები მუშაობენ უფრო ინტენსიურად, უფრო წარმატებით ხდება ათვისება დ ვიტამინისა, რომელიც აწესრიგებს კალციუმის ცვლას. ზაფხულში ორგანიზმში პიკშია რკინა, მარგანეცი, სილიციუმი. ზამთარში მათი უკმარისობა ვლინდება ალერგიული რეაქციების გაძლიერებით, სისხლის წარმოქმნის ორგანოების მუშაობის დარღვევით.

თუთიისა და სპილენძის შემცველობა, რომელიც სტაბილურია წლის განმავლობაში, ოდნავ ქვეითდება გაზაფხულის თვეებში. სელენი კი „ზამთრის" მიკროელემენტია. ამას კვებას უკავშირებენ: წლის ცივ დროს მაგიდაზე სუფევს ცხიმებით მდიდარი პროდუქტები და სელენის ისეთი შემცველები, როგორებიცაა კომბოსტო, კაკალი, ნიორი. ამ მიკროელემენტის უკმარისობამ შეიძლება გამოიწვიოს გულ-სისხლძარღვთა დაავადებათა გამწვავების პროვოცირება და ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციების დარღვევა.

სეზონურ ცვლილებებს მეცნიერები აკლიმატიზაციურ დეფიციტს უწოდებენ. როდესაც იცი ამ მოვლენის კანონზომიერება, შეიძლება შეამსუბუქო მისი დარტყმა. პრეპარატებისა და ვიტამინების წყალობით ხდება ჩვენი ქიმიური შემადგენლობის კორექტირება კალენდრისა და ამინდის მიუხედავად.

### ამინდის ტრენაჟორი

**ყველა კლიმატი თავის მცხოვრებს აყალიბებს. ჩრდილოეთში, მიხეილ ლომონოსოვის დარწმუნების მიუხედავად, რომელიც ამბობდა, რომ „იქ ჩვენი ორგანიზმისთვის ცხოვრება უფრო ასატანიაო", ხალხს უწევს შეეგუოს უამრავ არახელსაყრელ პირობას: ძლიერ ქარებს, დაბალ ტენიანობას, ხანგრძლივ სიცივეს.**

სამხრეთელები უნდა შეეგუონ გვალვას, რადიაციის მაღალ დონეს, დაბალ ტენიანობას და სითბურ გადატვირთვას. ამ დროს მათი უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ სამოთხეში ცხოვრობს.

აი ზომიერი კლიმატის მცხოვრებლები იშვიათად არიან კმაყოფილი გარემო პირობებით. ზოგჯერ იტანჯებიან სიცხით, სიცივით და ქარით უფრო მეტად, ვიდრე ექსტრემალურ ყოფასთან შეგუებული ჩრდილოეთელები და სამხრეთელები.

უმეტესად, თუ ჯანმრთელები ვართ, ნებისმიერი კლიმატური გასაჭირი მხოლოდ გვაწრთობს, და თუ არა... კლიმატი თავს შეგვახსენებს ყველაზე მტკივნეულ ადგილებში. ჩრდილოეთში დარტყმის ქვეშ ყველაზე ხშირად ხვდება სასუნთქი ორგანოები, ნერვული სისტემა. სამხრეთში მაღალია ინფექციურ დაავადებათა, ახალ წარმონაქმნთა რისკი...

ქარი, ჰაერი და წყალი გვცდიან უჯრედის დონეზე, და სისხლის წვეთში შეიძლება აისახოს უნარი – გადავიტანოთ სიცხე და გაზრდილი ტენიანობა: მეტეომგრძნობიარე ადამიანებს, მაგალითად, ამ პერიოდში ლეიკოციტების რაოდენობა მნიშვნელოვნად ეზრდებათ. ამინდის მკვეთრმა ცვლამ სიცივიდან სითბოზე შეიძლება გამოიწვიოს ქრონიკულ დაავადებათა გამწვავება. სიცივის პროცესმა კი, პირიქით, შეაფერხოს დაავადების მწვავე მიმდინარეობა და გაზარდოს იმუნიტეტი.

ქარის პირისპირ ყოფნა, ცხვირით სუნთქვა ქარში – სასარგებლოა. ეს ექსპერიმენტულადაა დადასტურებული. ქარის სიჩქარის გადიდების დროს აღინიშნება იმ უჯრედების რაოდენობის ზრდა, რომლებიც პასუხისმგებელი არიან იმუნიტეტზე ანთების ზონაში.

### მზის შვილები

**შუქი, სითბო და მაგნიტური გამოსხივება, რომელიც მზიდან მოდის, პლანეტის სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა დოზით მიდის. რაც უფრო ახლოა ჩრდილოეთის მაგნიტურ პოლუსთან, მით უფრო ძლიერად აისახება მნათობის მაგნიტური გავლენა. ამიტომ ჩრდილოეთელები უფრო მეტი პრესინგის ქვეშ ცხოვრობენ მზის მხრიდან, და ეს განსაზღვრავს მათს ქცევას, ხასიათსა და თავისებურებას. მაგალითად, სიტყვაძვირობა და აუჩქარებლობა მათთვის ორგანულია –„მძიმე მზის" ქვეშ ნებისმიერი ემოციური ჩავარდნის გადატანა ხდება უფრო მწვავედ და დრამატულად. მშვიდ და ბედნიერ ფინეთში თვითმკვლელობათა დიდ რიცხვს უკავშირებენ სწორედ მზის აქტივობის გავლენას. იქ შექმნილია სპეციალური კომიტეტი, რომელიც ახდენს მზის უხილავი ქარიშხლების პროგნოზირებას და აფრთხილებს მოსახლეობას.**

ჩრდილოელთა უმრავლესობას აწუხებს შუქისა და დ ვიტამინის უკმარისობა. ამის კომპენსირებისთვის უწევთ სამხრეთისკენ ზაფხულის მასობრივი გადაადგილება და სპირტიანი სასმელების მიღება. ზომიერი დოზით ეს სასმელები ადეპდოგენის როლს ასრულებენ მძიმე კლიმატურ პირობებში.

სამაგიეროდ ჩრდილოეთის განედების მცხოვრებლები ფიზიკურად უფრო ამტანები არიან: მზის მუდმივი ტრენინგი მათ დაავადებათა მიმართ უფრო ნაკლებად მოწვლადს ხდის. ამას გარდა, ჩრდილოეთელები, როდესაც მზის ნაკლები გეომაგნიტური ზეგავლენის ქვეშ აღმოჩნდებიან, წარმატებით ახდენენ ადაპტირებას, ადვილად იქმნიან კარიერას. სამხრეთის მცხოვრებლები კი, როდესაც გადადიან სიცივის ზონებში, სხვაგვარად იქცევიან, ახალ ადგილზე ისინი ხდებიან უფრო აგრესიულები, გაღიზიანებულები, ზოგჯერ ადვილად მიდიან დანაშაულზე... დამნაშავე კი – მზეა.

### დინოზავრის აჩრდილი

**როდესაც კითხულობენ: „მართალია, რომ დინოზავრები სიცივის გამო გადაშენდნენ?" – ეს უბრალო ცნობისმოყვარეობა როდია. ესაა სურვილი – გაითვითცნობიეროს და შეაფასოს საშიშროება: ჩვენც ხომ არ გადავშენდებით?**

ნამდვილი მიზეზი, რის გამოც დაახლოებით 65 მილიონი წლის წინათ დედამიწაზე დაიღუპნენ ეს ურჩხულები, დღემდე უცნობია. 1980 წელს ნობელის პრემიის ლაურეატმა ლუის ალვარესმა და მისმა კოლეგებმა ბერკლის უნივერსიტეტიდან მთის ქანების ფენებში, რომლებიც შეესაბამებოდა დინოზავრების გადაშენების პერიოდს, აღმოაჩინეს ირიდიუმისა და სხვა იშვიათი ელემენტების მაღალი კონცენტრაცია. მეცნიერმა გამოთქვა ჰიპოთეზა: შეიძლება მზეს შეეჯახა მეტეორიტი და ამან გამოიწვია ატმოსფეროში კატასტროფული ცვლილებანი, მაგალითად, ბირთვული ზამთრის ეფექტი – მკვეთრი გამყინვარება.

მეორე თეორია დაკავშირებულია დედამიწის მაგნიტური დაცვის დროებით გაქრობასთან: მზის სხივები და კოსმოსური სხივები ადვილად აღწევდნენ დედამიწაზე და იწვევდნენ ერთი არსებების მუტაციას და სხვების წარმოქმნას. კიდევ ერთი ვერსია – „მიწისქვეშა", რომელიც დაკავშირებულია ვულკანებთან და მეთანის გიგანტურ გამონაფრქვევთან ატმოსფეროში.

დღეს არაფერი მეტყველებს მსგავსი მოვლენების მოახლოების შესახებ. ჩვენ ვცხოვრობთ დედამიწის განვითარების გარკვეულ ციკლში, ამჟამად ატმოსფერული მრუდე მიდის ზევით – დათბობაზე. მაგრამ, ციკლურობის კანონით, ორი ათასი წლის შემდეგ დაიწყება უკუპროცესი.

ხსოვნა

## სოსო ჭანტურიშვილი



კიდევ ერთი ხელხვავიანი მეცნიერი და გამოჩენილი მამულიშვილი წავიდა ჩვენგან – სოსო ჭანტურიშვილი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

სტუდენტობის წლებიდან მიიქცია პედაგოგთა ყურადღება ინტერესთა ფართო დიაპაზონით, ცოდნის წყურვილით, სიდინჯითა და ერუდიციით, საფუძვლიანი მუსიკალური განათლებით. ის თავიდანვე ეიმედებოდა ქართული ეთნოლოგიის მესაძირკვლე აკადემიკოსს გიორგი ჩიტაიას.

70 წლის მკვლევარი 80-მდე სერიოზული სამეცნიერო ნაშრომის ავტორი გახლდათ, რომელთა უმრავლესობაც პრემიებითა და ჯილდოებით იყო აღნიშნული. მის ფუნდამენტურ ნაშრომში „ეთნოლოგია", პირველად ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში, წარმოდგენილი და შესწავლილია ეთნოლოგიის, როგორც ხალხის წარმომავლობის, გეოგრაფიული გარემოს, ყოფისა და კულტურის შემსწავლელ მეცნიერებასთან დაკავშირებული საკითხების კომპლექსი. მასში ზოგადი ეთნოლოგიის მომენტების შესწავლისას მოხმობილია ქართული მასალაც, ხოლო ქართული ეთნოლოგია წარმოდგენილია ზოგადი ეთნოლოგიის მიღწევების, კვლევის ფორმებისა და მეთოდების გათვალისწინებით. ეს დამხმარე სახელმძღვანელო, რომელიც განკუთვნილი იყო როგორც ისტორიკოსების, ეთნოლოგებისა და არქეოლოგების, ისე მოსწავლე ახალგაზრდობისა და მკითხველთა ფართო წრისათვის, 2000 წელს საქართველოს სახელმწიფო პრემიით დაჯილდოვდა. სპეციალისტთა და მკითხველთა დიდი მოწონება დაიმსახურა მისმა დიდტანიანმა ნაშრომმა „ეთნოლოგიის ქრესტომათია". სულ ახლახან გამოვიდა ვრცელი „ეთნოლოგიის ლექსიკონი", რომლის შედგენაშიც ბატონ სოსოს წვლილი ხელშესახებია. დაჯილდოებული იყო ივ. ჯავახიშვილისა და თბილისის უნივერსიტეტის საიუბილეო მედლით, ღირსების ორდენით.

თითქმის მთელი სიცოცხლე, სწავლის პერიოდიდან დაწყებული, თბილისის უნივერსიტეტის კედლებში გაატარა. იქ აიდგა ფეხი როგორც მკვლევარმა, იქვე ჩამოყალიბდა ანგარიშგასაწევ მეცნიერად. სამწუხაროდ, რამდენიმე წლის წინათ იძულებითი გამომშვიდობება მოუხდა სათაყვანებელ კედლებთან. ბოლოს საქართველოს ეროვნული მუზეუმის უფროს მეცნიერ-თანამშრომლად მუშაობდა. მთავარი ის არის, რომ სადაც უნდა ემუშავა სოსო ჭანტურიშვილს, ყოველთვის და ყველგან გამოირჩეოდა სიდარბაისლით, სიბრძნით, ქრისტიანული მიმტევებლობით, გულის სითბოთი, რომლის უშურველად გაცემაც მისთვის ცხოვრების წესი იყო. ვაგლახ, თვით მას ვერ უერთგულა გულმა ბოლომდე.

მშვიდობით, სოსო, ნათელი დაგადგეს!

მეგობრები

---

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი ეთნოლოგიის კათედრის პროფესურა თამილა ცაგარეიშვილი, ვახტანგ შამილაძე, ოთარ მიმინოშვილი და სოსო კვიციანი მწუხარებით იუწყებიან იმავე კათედრის პროფესორის

სოსო ჭანტურიშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის 1964 წლის კურსდამთავრებულები ღრმა მწუხარებით იუწყებიან თანაკურსელის

სოსო ჭანტურიშვილის

გარდაცვალებას.

---

პედიატრიის ინსტიტუტის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ გულიკო ჩიგოგიძეს დედის

მაჭაჭუნა მდინარაძის

გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე როლანდ მიქაუტაძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება რომ გარდაიცვალა

ეკატერინე მიქაუტაძე

პანაშვიდი 3, 4 VI, 17 სთ. მისამართი ჭავჭავაძის 17ა. გამოსვენება 5 VI, 14 სთ. სამების ტაძრიდან (ჭავჭავაძის გამზირიძ.

---

საქართველოს მშენებელთა ფედერაცია და სააქციო საზოგადოება „თბილქალაქმშენი" თანაგრძნობას უცხადებენ აფხაზეთის სახელმწიფო კომიტეტის „სახმშენის" თავმჯდომარეს, ბატონ როლანდ მიქაუტაძეს

მეუღლის

გარდაცვალების გამო.

---

იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ინსტიტუტის ყოფილი მეცნიერ-თანამშრომლის

ელგუჯა (დულოძ გიორგობიანის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ ოჯახს.

---

თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის პედაგოგიური კოლექტივი მწუხარებას გამოთქვამს ბავშვთა საერთაშორისო ურთიერთობათა კაბინეტის პედაგოგის ელზა მერაბიშვილის მამის

ზაქარია მერაბიშვილის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

## დაიჯესტი

### ტაძარმა რა დააშავა?





**ტაშკენტში, სამხედრო დიდების პარკში დემონსტირებულია დიდ სამამულო ომში გამარჯვებისადმი მიძღვნილი მონუმენტები.** უზბეკეთის ხელისუფალთა მტკიცებით, „აღნიშნული ექსპონატები არ შეესაბამება ცენტრალური აზიის ხალხთა საომარი ხელოვნების თემატიკას“. ამასთან, ტაშკენტის ცენტრში ასევე დაანგრიეს 1898 წელს არქიტექტორ ბენუას პროექტით აგებული მართლმადიდებლური ტაძარი.

ისე, კაცმა რომ თქვას, ტაძარიც „ამოვარდნილი“ იყო თემატიკიდან?

### ეს დაუვიწყარი ძველი კინოფილმები

**ახლანდელ ახალგაზრდობას ინფორმაციის მიღებისა და გართობის აუარება საშუალება აქვს – კინო, ტელევიზია, ათასნაირი შოუ თუ კონცერტი, ჟურნალ-გაზეთი, მობილური კავშირი, ბოლოს და ბოლოს, ინტერნეტი...** ეს მარტო ახალგაზრდებს კი არა, მათ მშობლებსაც და მშობელთა მშობლებსაც ეხებათ,



თუმცა მათ ჯერ კიდევ კარგად ახსოვთ არც თუ შორეული წარსული, როცა ერთსა და იმავე განსაკუთრებულად საყვარელ ფილმს 20-30-ჯერ, ხშირად მეტჯერაც ნახულობდნენ და, მიუხედავად იმისა, რომ დიალოგები ლამის ზეპირად იცოდნენ, ყოველი ნახვა მაინც პირველის მსგავსად გულს უჩქროლებდა. ასეთ კინოფილმთა რიცხვს, უდავოდ, მიეკუთვნებოდა „დიდი ვალსი“ ულამაზესი მილიცა კორიუსით, „ლედი ჰამილტონი“ და „ვატერლოოს ხიდი“ ბრწყინვალე ვივიენ ლითი, „პეტერი“ მომხიბლავი ფრანჩესკა ჰაალით, შეუდარებელი ჩარლი ჩაპლინის უკლებლივ ყველა ფილმი და, რა თქმა უნდა, „ჯარისკაცის ბედი ამერიკაში“, სადაც მთავარ როლს დაუვიწყარი ჯეიმს კეგნი ასრულებდა.

### მერე რა, გარეთ თუ ცხელა...



**ტერმიტები ბუდეებს კონუსის ფორმის გოდოლების სახით აშენებენ, რომლებიც თავისებურ „კონდიციონერებს“ წარმოადგენენ – ისინი შიგნით საჭირო ტემპერატურის შენარჩუნების უნიკალური ხელოვნური „მოწყობილობაა“.** ბუდის მიწისქვეშა ნაწილის თავზე წამომართული ბორცვი, მწერთა რიცხოვნობის ზრდასთან ერთად სიმაღლეში პროპორციულად მატულობს და ზოგჯერ ექვსი მეტრის სიმაღლეს აღწევს. რაც მეტია ბუდეში ტერმიტი, მით უფრო მეტადაა საჭირო მისი სისტემატური ვენტილაცია. მწერთა არსებობისთვის საჭირო ტენიანობისა და ტემპერატურის შენარჩუნება კი სავენტილაციო გალერეების მეტად რთული სისტემის მეშვეობით ხორციელდება.

### ცეცხლსაც კი ერიდებიან...

**ხელოვნების ჭეშმარიტი ნიმუშებია ფარდაგები, რომლებსაც ინდოეთის აღმოსავლეთის უტარ პრადეშის შტატის ქალაქების ბჰადოისა და მირზაფურის ხელოსნები ქსოვენ.** საგულისხმოა, რომ ისინი თავიანთ მოქნილ ხელებს იმდენად უფრთხილდებიან, რომ ცივ ზამთარში... ცეცხლთან მათ გათბობასაც კი ერიდებიან!

ლამაზ და გამძლე ხალიჩებს ასევე ქსოვენ ქალაქების გვალიორას, ჯობათასა და ტიკგაონის ხელოსნები.

## დღის კალენდარი

### 5 ივნისი

**მოწამეთა ქართველთა, ქრისტეს სარწმუნოებისათვის ფერეიდანში (ირანიძ სპარსთაგან მოწყვეტილთა (XVII-XVIIIძ (გარდამავალია, მოიხსენიება ამაღლებასძ; მოციქულთა სწორთა: მეფისა მირიანისა და დედოფლისა ნანასი (IVძ; ღირსისა დამიანესი, მეფეყოფილისა დემეტრესი, გარეჯისა, „შენ ხარ ვენახის“ მთქმელისა (1157ძ; ღირსისა მიქაელ აღმსარებლისა, სინადელი ეპისკოპოსისა (821ძ; ღირს მოწამისა მიქაელისა (IXძ.**



ამოდის 04.27
ჩადის 19.32



ამოდის 00.09
ჩადის 12.22

### დაიბადნენ:

**1555 – როდრიგეს დე სილვა ველასკესი,** ესპანელი ფერმწერი. გარდაიცვალა 1660 წელს.

**1846 – ჰენრიკ სენკევიჩი,** პოლონელი მწერალი, ისტორიული რომანების ავტორი. გარდაიცვალა 1916 წელს.

**1877 – გეორგ სედოვი,** რუსი პოლარეთის მკვლევარი. შეეცადა, ძაღლების მარხილით ჩრდილოეთ პოლუსამდე მიეღწია, მაგრამ გზაში გარდაიცვალა.

**1899 – ვლადიმირ ნაბოკოვი,** რუსი მწერალი.

**1934 – მარია ბიეშუ,** მოლდოველი მომღერალი, სსრკ სახელმწიფო და ლენინური პრემიების ლაურეატი.

**1935 – კახი კავსაძე,** მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი.

**1943 – რაფაელი,** ესპანელი მომღერალი და მსახიობი.

### გარდაიცვალნენ:

**1918 – ნიკო ფიროსმანაშვილი,** ქართველი თვითნასწავლი მხატვარი. დაიბადა დაახლოებით 1862 წელს.

**1765 – ედუარდ იუნგი,** ინგლისელი პოეტი, დაიბადა 1683 წელს.

**1821 – ნაპოლეონ ბონაპარტე.** დაიბადა 1769 წელს.

**1852 – ჰაჯი-მურატი,** კავკასიელ მთიელთა გამათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილე, შამილის ნაიბი. დაიბადა XVIII საუკუნის 90-იან წლებში.

**1942 – ნიკოლაი ოლეინიკოვი,** „ხალხის მტრად“ მონათლული და შემდგომ რეაბილიტირებული რუსი მწერალი. დაიბადა 1898 წელს.

**1949 – მორის მეტერლინკი,** ბელგიელი პოეტი და დრამატურგი. ცნობილი პიესის „ლურჯი ფრინველის“ ავტორი. დაიბადა 1862 წელს.

**1995 – მიხაილ ბოტვინიკი,** ჭადრაკში მსოფლიოს ჩემპიონი.

### მოვლენები:

**1751** – პორტუგალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა სებასტიან რომბალმა გამოსცა ბრძანებულება, რომლითაც აუტოდაფეზე ნებართვა მხოლოდ ხელისუფლებას უნდა გაეცა.

**1816** – კარლ ოგუსტ საქსე-ვაიმარელმა პირველი გერმანული კონსტიტუცია შეადგინა.

**1821** – წმინდა ელენეს კუნძულზე გარდაიცვალა ნაპოლეონ ბონაპარტე.

**1912** – პეტერბურგში გამოვიდა ბოლშევიკურ გაზეთ „პრავდის“ პირველი ნომერი.

**1912** – სტოკჰოლმში (შვეციაძ გაიხსნა ოლიმპიური თამაშები, რომლის გახსნისა და დახურვის ცერემონია შემდგომში ტრადიციული გახდა.

**1919** – დაარსდა წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოების ლიგა.

**1945** – ლონდონში შეიქმნა ევროპის საბჭო – საერთაშორისო სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია.

**მედიანიუსი**

## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| **თბილისი.** | +19 – +30 |
| **ქუთაისი.** | +27 – +36 |
| **ბათუმი.** | +20 – +31 |
| **ზუგდიდი.** | +21 – +32 |
| **თელავი.** | +18 – +32 |

## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.8068 ლარი |
| 1 ევრო | – 2.2092 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.6495 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.7929 ლარი |
| 1000 სომ. დრამა | – 4.7803 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2484 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2798 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.1422 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.6456 ლარი |



## ანეკდოტები

ქალბატონებო და ბატონებო! გაცნობებთ, რომ საკავშირო ექსპერიმენტი, რომელიც 21 წლის განმავლობაში გრძელდებოდა, დასრულდა. გამარჯვობათ, ძვირფასო ამხანაგებო!

* * *

ცოლი ტელეფონზე დიდხანს ლაპარაკობდა.

– ვინ იყო, ტვინი რომ შეგიჭამა? – ეკითხება ქმარი.

– დედაჩემი. მგონი, სანახევროდ გაგიჟდა.

– რას ერჩი, გამოკეთებულა.

* * *

როგორი ჭკვიანი უნდა იყოს ცოლი, მის ქმარს ეჭვი არ ეპარებოდეს იმაში, რომ იგი სულელია.

* * *

სვანს ფეხსაცმელი მოუჭერს და ტკივილგამაყუჩებელს დალევს.

* * *



გურული ორმოში ჩავარდა. რამდენი არ იწვალა, მაგრამ ვერაფრით ამოვიდა. ქანცგაწყვეტილი კუთხეში მიეგდო. უცებ ორმოში გამვლელმა ჩაიხედა.

– დამელოდე, თოკს მოვიტან და ამოგიყვანო, – ჩასძახა.

– ა, ახლა ამას უცადე კიდო!

* * *

ბაზარზე ტვინები იყიდება. ტიპი ათვალიერებს გამოფენილ ნიმუშებს. ყველაზე ძვირი სვანის ტვინი ღირს.

– ვითომ რატომ ღირს სვანის ტვინი ყველაზე ძვირი? – ეკითხება გამყიდველს გაკვირვებული ტიპი.

– უხმარია და იმიტომ.

* * *

ნარკომანები ბირჟაზე დგანან. უცებ ზანგმა ჩამოიარა.

– ეს ვინ არის, ჩემი დედას ვფიცავარ? – კითხულობს ერთი.

– სომალიელი ლტოლვილია, ტო! – უპასუხებს მეორე.

– ვაი, ჩემი კარგი, სომალიც დავკარგეთ, ტო? – თავში ხელი შემოირტყა მესამემ.

## კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.